წელიწადი V/I. 1905 წ. წელიწადი V/I.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგზაური

ყოველკვირეული ჟურნალი

№ 3. ხუთშაბათი, 3 თებერვალი 1905 წლისა. № 3.

„მოგზაურის“ რედაქცია აცხადებს, რომ მუშების გაფიცვის გამო, ჟურნალის გამოცემა რამდენიმე კვირით შეჩერებული იყო. რედაქცია ეცდება, დაკლებული ნომრები მკითხველებს შეუსრულოს.

„მოგზაურის“ მეოთხე ნომერი (№ 4) გამოვა კვირას, 6 თებერვალს.

ყოველკვირეული ჟურნალი

წელიწადი „მოგზაური“ მეხუთე პირველი

ვამოდის 1905 წლის 16 იანვრიდან ვრცელი პროგრამით.

ჟურნალში მოწაწილეობას მიიღებენ: ფ. მახარაძე, ივ. გომართელი, ი. ევდოშვილი, ნ. ელიავა, ნ. კალანდაძე, ის. კვიცარიძე, ლალიონი, გ. მარმალაძე, ყვირილელი, კ. ჯაფარიძე, ალ. წულუკიძე, გრ. წულუკიძე და სხვები.

ჟურნალის ფასი გაგზავნით კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში: ერთი წლით—5 მან., ნახევარი წლით—3 მან. ცალკე ნომერი—15 კაპ. ადრესის გამოცვლა—40 კაპ. წლიური ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში—„მოგზაურის“ რედაქციაში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში—შიო ქუჩუკაშვილთან; ვ. გადილიას წიგნის მაღაზიაში (კირჩნი ქუჩა) და ნაძალადევში—წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკაში.

ბათუმში—ანასტასია გოგოლაშვილთან.

ბაქოში—ტერენტი წერეთელთან (ქალაქის საბჭოში).

განჯაში—ი. ევდოშვილთან.

ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან (ამხანაგ. „კოლხიდა“)

ოზურგეთში—ს. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და ქ-ნ თამარ შარაშიძესთან.

ლანჩხუთში—ივანე კალანდაძესთან.

ჩოხატაურში—ალექსანდრე დოლიძესთან.

სენაკში—არსენ წითლიძესთან.

სამტრედიაში—ყარამან ნანეიშვილთან.

ხონში—ექიმ პ. ლ. კიკალიშვილთან.

ჭიათურაში—ირაკლი დეკანოზიშვილთან.

ზესტაფონში—სოლომონ წულაძესთან.

სად. მიხაილოვში—ივანე ომიანიძესთან.

ქ. გორში—არსენ კალანდაძის წიგნის მაღაზიაში.

ჟურნალისათვის დანიშნული წერილები და ყოველგვარი კორესპონდენცია უნდა იგზავნებოდეს პირდაპირ რედაქციის სახელობაზე.—ჟურნალში დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები და მოთხრობები, რომელთა დაბეჭდვას რედაქცია ვერ სცნობს შესაძლებლად, შეინახება 3 თვის განმავლობაში, ხოლო სხვა წერილებისა და კორესპონდენციების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ვისაც რედაქციისაგან წერილით პასუხის მიღება სურს, უნდა წარმოადგინოს ფოსტის ხარჯი.

რედაქცია იმყოფება: ტფილისში, სიკოდოზის ქ., სახ. № 44.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ. Редакція „МОГЗАУРИ“.**

შინაარსი: თანადროული კითხვები, ფ. მახარაძისა.—ოფიციალური გამოცხადება კავკასიაში მომხდარ მუშების გაფიცვის შესახებ.—სხვა და სხვა ამბები.—რა ეჭვირება მუშებს დღეს, ნ. ელიავასი.—რუსეთის ქრონიკა.—ომის ამბები.—სალამი, ლექსი დ. თომაშვილისა.—სიტყვა ჯოჯოხეთში, ეშმაკი სამოთხეში და სამი წერტილი, ეშმაკისა.—ქუთათურის შენიშვნები, ისოსი.—საზოგადოებრივ-ისტორიული წერილები, თარგ. ლ. ელიავასი.—გოგიჩაიშვილის საპასუხოთ, ა. წულუკიძისა.—ჟურნალ-გაზეთებიდან.

თანადროული კითხვები.

I.

დრონი იცვლებიან და მასთან ერთათ ჩვენც ვიცვლებითო,—ამბობდენ ძველი რომაელები. ამ ჭეშმარიტებას დღეს ვერავინ უარს ვეღარ ყოფს. მაგრამ ცხოვრებაში კი მაინც იმას ყველა ხელს აფარებს. რანი ვიყავით ჩვენ გუშინ, თუნდ ამ ათი-ხუთმეტი წლის წინეთ, და რანი ვართ დღეს? რას ლაპარაკობდენ ჩვენ საზოგადოებასა და მწერლობაში ამ რამდენიმე წლის წინეთ და რას ლაპარაკობენ დღეს? მიაჩნდათ მაშინ შესაძლებლათ ის, რაც დღეს ფაქტათ, სინამდვილეთ იქცა? ვინ იყვენ მაშინ ცხოვრების ბანის მიმცემნი, და ვინ არიან დღეს ასეთები? ერთი სიტყვით, რა განსხვავებაა ამ მხრით მაშინდელ და დღევანდელ დროს შუა? ჩვენ რომ გარემოება და შეძლება ნებას გვაძლევდეს შევადაროთ ცოტა უფრო დაწვრილებით ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება ამ 10—15 წლის წინეთ და დღეს, ჩვენ თვალწინ დაგვეხატებოდა ორი კონტრასტი, ორი სულ სხვადასხვა საზოგადოებრივი ვითარება, რომელთაც ერთმანეთში საერთო თითქმის არაფერი არ ექნებოდათ. ჩვენ ერთი მხრით წარმოგვიდგებოდა დაწყნარებული, მყუდრო, ცხოვრება, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯის ცემა მისუსტებულ-მიმალულია, სადაც გაბატონებულია თავისი „მეს“ სამსახური, და არავითარი სოლიდარული მოქმედების ნიშანი; არც საზოგადოებაში და არც მწერლობაში არ ისმის გაბედული ხმა, თავისუფალი მსჯელობა და აზრი,—თითქოს ყოველივე შებოჭვილი და შებორკილი იყოს რაღაც გაუგებარი, იდუმალი, ძალის მეოხებით. დღეს კი სულ სხვა სურათს ვხედავთ: მყუდროება დაირღვა, საზოგადოება გამოფხიზლდა, და ისინი, ვინც ამ რამდენიმე წლის უკან ყველას საჯეკნელათ იყვენ, ვინც ყველაზე უფრო უხმო და გაუბედავი იყვენ, ვინც საზოგადოებრივი ცხოვრების უკანასკნელ საფეხურზე იდგენ, ისინი დღეს წელში აიმართენ, საზოგადოების ბანის მიმცემნი შეიქნენ და მოწინავე როლს თამაშობენ. პირველი შეხედვით ასე გეგონებათ, რომ ამ 10 წლის წინანდელი და დღევანდელი საზოგადოება ორი სხვადასხვა საზოგადოებაა, სხვადასხვა ხალხი, სხვადასხვა პირობებში აღზრდილი, და არა ერთი და იგივე საზოგადოება, ერთი და იგივე ხალხი, მხოლოთ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი. მაგრამ ეს ასე როდია:

ეს არის იგივე ხალხი, იგივე საზოგადოება, მხოლოთ დრო გამოიცვალა, და მასთან ერთათ გამოიცვალა თვით საზოგადოებაც, თვით ხალხიც. მხოლოთ ეს ცვლილება არ მომხდარა მაღლიდან, იგი არ მოგვლენია ვისმეს ბრძანებით, ან სურვილით. ეს არის შედეგი იმ უდიდესი შინაური მოძრაობისა და შეუწყვეტელი მუშაობისა, რომელიც შეუმჩნეველათ ხდებოდა და ხდება ჩვენი საზოგადოების გულში ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში. და განა ამ რამდენიმე წლის წინეთ ზოგიერთები არ ამბობდენ, არ წინასწარმეტყველებდენ, რომ ადრე იქნება თუ გვიან უეჭველათ უნდა მოხდეს ის, რაც დღეს ხდება, რის მოწამენი დღეს ჩვენ ვართ? ბევრ იმათგანს, რომლებიც დღევანდელ მოძრაობას სიამოვნებით და თანაგრძნობით უყურებენ, მაშინ სასაცილოთაც არ ყოფნიდათ ასეთი წინასწარმეტყველება. მაგრამ ეს არ იყო წინასწარმეტყველება, ოცნებით შექმნილი. ეს იყო ნაყოფი ცხოვრების დაკვირვებისა და სინამდვილის შესწავლისა. სამწუხაროთ, ასე ხდება ყოველგან და მით უმეტეს ჩვენშიაც, რომ სანამ საზოგადოებას თავზე არ დაატყდება რაიმე უბედურება, მანამ იგი თავსაც არ მოიფხანს; მერე კი გვიანღაა: მოძრაობა თავისას გაიტანს, მხოლოთ ეს შეუგნებლობა და მოუმზადებლობა იწვევს ზედმეტ ტკივილებს, თხოულობს ზედმეტ მსხვერპლს, და საზოგადოება აკეთებს შემდეგ ნაბიჯს სისხლით მორწყულ ნიადაგზე. დღემდე საზოგადოება, მისი უმრავლესობა მაინც, ყოველგან შებოჭვილია თითქო რაღაც იდუმალი ძალის მეოხებით, იგი ანგარიშ მიუცემლათ ჩაბღაუჭებია ძველ წესწყობილებას, მას ვერ შეუგნია, არ ესმის ამ წეს-წყობილების ნაკლულევანება. უმრავლესობისათვის ისტორია არ არსებობს, ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრება, თვით საზოგადოება რაღაც გაყინული, გაჩერებული რამ გონიათ, სადაც არავითარი მოძრაობა, არავითარი წინსვლა, არავითარი განვითარება, არავითარი ცვალებადობა არ არსებობს. ასეთი მსჯელობა, ასეთი შეხედულება ისტორიასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეწინააღმდეგება ფაქტებს, იგი უარყოფს სინამდვილეს; მაგრამ მიუხედავათ ამისა, იგი დღესაც გაბატონებულია როგორც საზოგადოებაში, ისე მწერლობაშიაც. ვისაც ნამდვილათ და გულწრფელათ სურს საზოგადოებრივ უბედურებათა თავიდან აცილება, ვინც მოწადინებულია, რომ საზოგადოების ძირითად წესწყობილების ცვლილების დროს რაც შეიძლება ნაკლები სისხლი დაიღვაროს, იგი ვალდებულია, რაც ძალი და ღონე აქვს, ყოველგვარი საშუალებით, ებრძოლოს ასეთ შეხედულებას და ეცადოს, რომ საზოგადოებამ შეითვისოს უფრო გონივრული შეხედულება საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

სამწუხაროთ, დღეს, ამ საყოველთაო მოუსვენრობის, არევ-დარევის, დროს მეტათ ძნელია, თითქმის შეუძლებელიც არის დალაგებით მსჯელობა ასეთ მძიმე საგნებზე. დღეს საზოგადოება, განსაკუთრებით მისი ერთი ნაწილი, მოქმედების ასპარეზზე გამოსული, თხოულობს პირდაპირ, გადაჭრილ პასუხს იმ პრაქტიკულ და საჭირ-ბოროტო კითხვებზე, რომლებიც ჩვენმა ცხოვრებამ უკვე წამოაყენა და რომლებიც იმდენათ მომწიფდენ, რომ დაუყონებლივ განხორციელებას და დაკმაყოფილებას თხოულობენ. მეორე მხრით, ადვილათ გასაგები მიზეზის წყალობით, ჩვენ ყოველივე საშვალებას მოკლებული ვართ ეს მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ, და ამიტომ რამდენათაც სამართლიანია საზოგადოების მოთხოვნილება, იმდენათ, თუმც სულ სხვა მიზეზით, მართალი ვართ ჩვენც. ის, ვინც გულწრფელათ ემსახურება მწერლობას და ღრმათ ესმის მისი წმიდა და მაღალი დანიშნულება, მას არა ნაკლებ სტანჯავს და აწუხებს ის გარემოება, რომ იგი მოკლებულია საშუალებას პირდაპირ, გულახდილათ ილაპარაკოს იმაზე, რასაც გრძნობს და რაც საჭიროთ მიაჩნია დღევანდელ პირობებში.

ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს ხალხის ცხოვრებაში ხდება დიდი ცვლილება, რომ ის უფსკრული, რომელიც თანამედროვე საზოგადოებრივმა პირობებმა შექმნეს ძველსა და ახალს შუა, თანდათან ფართოვდება და ძველის და ახლის ერთათ მორიგება ყოვლად შეუძლებელი ხდება. ის, რაც წინეთ უმრავლესობისათვის შეუმჩნეველათ ხდებოდა, დღეს მოულოდნელათ ყველასათვის აშკარა შეიქნა. მშვიდობიანობას და მყუდროებას დაჩვეულ საზოგადოებას უეცრივ შეერყა მშვიდობიანობა, ის, რაც მას შეურყეველათ მიაჩნდა, ძირიანათ შეირყა . . . შევჩერდეთ ერთ წუთს იმაზე, თუ როგორ მოქმედებს ეს გარემოება ჩვენ საზოგადოებაზე. ახლა ყველასათვის აშკარაა, რომ დღევანდელი საზოგადოება, როგორც წინანდელი, ცალ-ცალკე, ერთი მეორის მოწინააღმდეგე ჯგუფებათ, კლასებათ არის დაყოფილი, იმ განსხვავებით, რომ ეს დაყოფა დღეს უფრო საგრძნობელი და უფრო აშკარაა. თითოეულ ჯგუფს, თითოეულ კლასს თავისი საკუთარი ინტერესები აქვს, რომ ის, რაც ერთისთვის სანატრელი და სასარგებლოა, მეორესთვის მაუნებელი და მომაკვდინებელია. ყველა თანამედროვე საზოგადოებრივი ჯგუფები და კლასები ორ ბანაკათ შეიძლება გავანაწილოთ. ერთი ბანაკი ებღაუჭება ძველს, რომელმაც თავის დრო მოჭამა, მეორე კი სიამოვნებით მოელის ამ ძველის დანგრევას და ახლის დამყარებას. პირველისთვის ის, რაც არსებობს, ძლიერების, ფუფუნების, სიამოვნების და ბატონობის თავდებია, ხოლო ახლის დამკვიდრება მისთვის ყველა ამის მოსპობას ნიშნავს! მეორე ბანაკი კი სულ სხვა რწმენით არის აღფრთოვანებული და გამხნევებული. აწმყო მისთვის მოასწავებს ტანჯვას, დაჩაგვრას, უუფლებობას, სიმშილს, წყურვილს, სიტიტვლეს, გაუნათლებლობას; მომავალი კი მას ეღიმება ყველა ამის მოსპობით და სამართლიანობის და ჭეშმარიტების დამყარებით. აი, რა სხვადასხვა თვალით უყურებენ დღევანდელ მოძრაობას თანამედროვე საზოგადოების უმთავრესი კლასები. ამას უკარნახებენ მათ იმათი საკუთარი ინტერესები. როგორც ზევით ვამბობდით, საზოგადოების ერთი ნაწილი, უმცირესობა, შეჩვეულია თანამედროვე ცხოვრების სიტკბოებას, სილაღეს, მედიდურებას, სხვების შეწუხებას და გაყვლეფას. ამიტომ გასაკვირალი არ არის, თუ ეს ძირითადი რყევა, თუ ეს შეუჩერებელი და შეუბრალებელი დანგრევა იმ საფუძველთა, რომელთა წყალობით აქამომდე ტკბებოდა საზოგადოების უმცირესობა, აღშფოთებს და სასოწარკვეთილებას გვრის მას. ის არა თუ ამართლებს, არამედ პირდაპირ თხოულობს სასტიკ და შეუბრალებელ ზომების ხმარებას. იგი შეუპყრია ბრმა თავმოყვარეობას, მას არ ძალუძს გაითვალისწინოს თავისი მდგომარეობა, შეეკითხოს წარსულს, გაიგოს თუ რა ხდებოდა სხვა ქვეყნებში. არავითარ მსჯელობას, არავითარ საბუთიან სიტყვას არ ძალუძს გამოიყვანოს იგი იმ გაბრაზებიდან და გამხეცებული განრისხებიდან, რომელსაც იგი იჩენს თავის მოწინააღმდეგეს მიმართ. იმის მოქმედება ისტორიის გადადგომაა, შეუძლებელის განხორციელებას ნიშნავს. ასეთ პირობებში საჭიროა მეტი სიმხნევე, გამჭრიახობა და შორსმხედველობა იმათ მხრით, ვის წინააღმდეგ მიმართულია ეს ჯოჯოხეთური ზომები. თუ ოდესმე საჭიროა ცოდნა, გამოცდილება, ეს ყველაზე მეტათ დღეს ეჭირვება ჩვენ საზოგადოებას. დღევანდელი საზოგადოება მეტათ რთული მოვლენაა: თითოეული მისი წევრი, თუმც არსებითათ ათასნაირათ არის რკინის ჯაჭვით შეკავშირებული საზოგადოების როგორც დანარჩენ წევრებთან, ისე თვით საზოგადოებასთან, მაგრამ გარეგნობით გამოდის, რომ ვითომც თითოეულ წევრს თავისი

განკერძოებული კუნჭული ჰქონდეს მიჩნეული თავისთვის, სადაც სხვებს ადგილი არა აქვთ; თითოეულს გონია, რომ მასთან სხვას საქმე არა აქვს, ვისაც უნდა თავი იტეხოს, ის კი თავისთვის იქნება და სხვის საქმეში არ გაერევა, რადგანაც ამას მისი საკუთარი ინტერესი სრულებით არ თხოულობს. თანამედროვე საზოგადოება აღზრდილია ასეთ რწმენაში, იგი გამსჭვალულია ასეთი შეხედულებით. დროა, რომ ასეთი რწმენა-შეხედულება მოისპოს, რადგანაც იგი საზოგადოებისათვის, მისი წინსვლისა და განვითარებისათვის მეტათ მავნებელია. საზოგადოების თითოეულმა წევრმა უნდა შეიგნოს და შეისისხლხორცოს ის შეხედულება, გაიმსჭვალოს იმ რწმენით, რომ მისი ინტერესი განუყოფელია საზოგადოების დანარჩენ წევრების ინტერესებისაგან, რომ მისი კეთილდღეობა შეუძლებელია, თუ მთელი საზოგადოება, ან მისი უმრავლესობა, მოკლებულია ამ კეთილდღეობას. მაგრამ ამის შეგნება ნიშნავს მთელი აწინდელი საზოგადოებრივი ურთიერთობის შეგნებას, მთელი თანამედროვე ცხოვრების გაგებას. აი ამ ცოდნის, ამ შეგნების გაადვილებას ვცდილობთ ჩვენ მკითხველებს მომავალ წერილებში, რამდენათაც ჩვენი სუსტი ძალონე და გარეშე, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზები, ნებას მოგვცემენ.

ფ. მაზარაძე.

ოფიციალური გამოცხადება

კავკასიაში მომხდარი მუშების გაფიცვის შესახებ.

ბაქოს მუშათა შორის დაწყებული მდგომარეობა გასულ წლის დეკემბერში გადაედვა ბათუმის მუშებს. ბაქოდან ჩამოსულ აგიტატორთა გავლენით როტშილდისა და მანთაშევის ქარხნების მუშები, რიცხვით 300-დან 400-კაცამდე, შეიკრიბნენ ბარცხანის ხიდზე საქონლის სადგურის მახლობლათ, ითხოვდენ რამდენიმე წითელი დროშა რევოლიუციონური წარწერებით და რევოლვერების სროლით, რკინის გზის დაანგარიშების დაუოლებით, გაეშორეთ დეპოსაკენ, თანაც ბრიგადამცველებს ებნეოდნენ. ათი წუთის შემდეგ, შენიშნეს რა ეზახ-რუსთა მოახლოება, დაიშალნენ წინააღმდეგობის გაუწევლათ. არავითარი განსაკუთრებული ზომა არ უხმარიათ და მეორე დღეს უველა ქარხნის მუშები მშვიდობიანათ შეუდგნენ საქმეს. მაგრამ მდგომარეობა ამით არ დასრულებულა.

17 იანვარს დილით ბათუმის ზღვის-სადგურზე გაჩნდა ხუთასამდე მუშა და ძალით შეაწყვეტინა მუშობა რკინის გზის, რუსეთისა და რუსიის სანოვაგისა საზოგადოებათა მუშებს, თანაც სიკვდილით დაემუქრენ მუშობის დამწყებთ. საქონლის დასაცავათ დატოვეს დარაჯები. უწესოება არაფერი მოუხდენიათ. გაფიცულები თხოულობდენ ხელფასის მომატებას.

იმავე დღეს გაიფიცენენ სადგურ რიონის ბუფეტში მოსამსახურენი, რომელნიც თხოულობდენ ერთ ნახევარჯერ ჯამაგირის გადიდებას და ბინას. სადგურის უფროსის თხოვნით მოსამსახურენი დარჩენ ადგილზე 20 იანვარამდე.

18 იანვარს გაიფიცენ უველა რემონტის მუშები ბათუმის ნაწილისა (ბათუმიდან-საჯაოხამდე); ამათაც მიატოვეს ოვალი თანამდებობის ასრულება და თხოულობდენ ქირის მომატებას.

19 იანვარს ბათუმის ქარხნებში სულ მცირე მუშობა სწარმოებდა. რკინის გზის უველა კანტორის მოხელეებმა და ამწონდებმა მიიდეს მუქარის ბარათები და მუშობა აღკვეთეს. ბოდიციის ძალდატანებით გამოსული მეეტლები ისევ დაბრუნდნენ უკან გაფიცულთაგან გაფრთხილებულნი.

გაფიცვა არც თბილისს ასცილდა. აქ ის დაიწყო 18 იანვარს რკინის გზის სახელოსნოებსა, მექანიკურ ქარხნებსა და კერძო სტამბებში მუშობის შეწყვეტით. საერთოთ გაფიცულთა რიცხვი 3000-4000-მდე აღიოდა. გამოდიოდა მხოლოთ გაზეთი „კავკაზი“. 19 იანვარს გაფიცულთა რიცხვს მიემატა აღელხანოვის ფაბრიკის მუშები, თამბაქოს ფაბრიკის „მირ“ის მომუშავენი და უველა ნოქრები თამამშეგის ქარვასლისა. საერთო რიცხვი ამ დღეს გაფიცულთა 4000 კაცამდე აღიოდა.

ნოშავდგეგის სამ საათზე დიდებულში ბათუმის მეადგილე შეგრდა 200-მდე რკინის გზის მუშა, რომლებმაც განუცხადეს ბოქაულს სურვილი დეპუტატების არჩევისა გუბერნატორთან გასაგზავნათ და მოითხოვეს ამ დეპუტატთა ხელუხლებლობა. მუშათა ეს მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქნა, მხოლოთ იმ პირობით თუ ამორჩეული დეპუტატები იქონიებენ მსჯელობას მარტო ეკონომიურ მოთხოვნილებათა შესახებ და არ გადაცდებიან ამ ფარგალს. მიუხედავათ ამისა მუშებმა არ მოისურვეს დეპუტატთა ამორჩევა და მოითხოვეს წინა დღით დატუვებულთა განთავისუფლება.

დღის განმავლობაში დატუვებულ იქნა რამოდენიმე აგიტატორი რკინის გზის მუშათა შორის, აგრეთვე რამოდენიმე მუშა, რომელიც ცდილობდა ძალით მოეშორებია მუშობის მსურველნი ან სიტყვის წარმოთქმა უნდოდა.

20 იანვარს მუშობა აღკვეთეს კონკისა და ელექტრონის ტრამვაის მუშებმა, მაგრამ მიდებულ ზომების გამო პირველი საათიდან მოძრობა რამოდენიმეთ აღდგენილ იქნა სამხედრო ყარაულის თანხლებით.

უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში თბილისში თანდათან ვრცელდებოდა მუშათა გაფიცვა. გაფიცვას შეუერთდენ ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის, ტოდეს, თაირეოვის და ალიხანოვის საპონის ქარხნების მუშები, მაგრამ პოლიციასა და გაფიცულებს მაინცა და მაინც მწვავე შეტაკება არ მოსვლიათ. კონკის ვაგონების შოფერობა ისევ სამხედრო ყარაულის თანხლებით ხდებოდა. 20 იანვარს, დილით, მუშათა მცირე ჯგუფი დაეცა თავს ავჭალის კონკის ერთ ვაგონს, ქალაქის გარე უბანში, ჩამოსხა ბასსაყირები და დაუწყო მტვრევა ვაგონს, მაგრამ ამ დროს მიეიდა ექვსი სალდათი და მუშები შეაწყვეტა. ამ სალდათებს შემოეხვიენ მუშები და მომხდარ შეტაკების დროს ერთ სალდათს მსუბუქათ დაუშავდა თავი და ხელი. სალდათები შეუდგენ თოფის კონდახტებით ხალხის გაფანტვას, და ამ დროს მოსულ დრაგუნთა ეზოდის დახმარებით გაფანტეს კიდეც გაფიცულნი. დაკავებულ იქნა ექვსი კაცი.

იმ მუშების დასაცავად, რომელთაც მუშობის დაწყება სურდათ, მიდებულ იქნა ეოფელივე საჭირო ზომა. ამის წყალობით რკინის გზის მუშათა ნაწილმა დაიწყო კიდეც მუშობა.

ბათუმშიაც გაგრძელდა გაფიცვა. ახალათ გაიფიცენ ამწონელები.

21 იანვარს სად. სამტრედიაში მუშები, რიცხვით 300-მდე, უიყინით, სტვენით და თოფის სროლით მოვიდენ რკინის გზის სადგურზე, ძალით წამოასხეს უველა მეისრები, ვაგონების გადამბმელნი, მატარებლების შემდგენელნი; შეცვიდენ აგრეთვე სადგურის კატორებში და გამოიყვანეს უველა კანტორის მოსამსახურეები, ამწონელები, ტელეგრაფის მოხელეები და აუკრძალეს უველას მუშობა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სიკვდილს ემუქრებოდენ. სადგურიდან ხალხი გაემართა იქვე მდებარე სოფელ სამტრედიის ბაზრისაკენ, სადაც ძალით დააკეტვინა დუქნები, მაღაზიები და სხვა სავაჭრო დაწესებულებანი. აქ წესიერების დამრღვევთ შეუერთდენ სოფელ სამტრედიის მცხოვრებნი. ამის შემდეგ მომხდარ შეტაკების დროს მოკლეს სოფლის მამასახლისი და სოფელსაც ცეცხლი წაუკიდეს; იწვოდა მაღაზიები. იმავე დამეს ბათუმისკენ მესამე ვერსზე ბორტ-კამზრახველო აურეს რკინის გზის დაანგარიშებელი, მაგრამ გზის წახდენა დროზე იქნა შემჩნეული. გზა უკვე შეკეთებულია.

ქ. ფოთში გაიფიცენ ნავთსადგურის მუშები და ბარგის (გრუზის) ეოველ გვარი ოპერაციები შეჩერებულია.

21 იანვარს, სალამოს, გაფიცულთა აგიტატორები ქ. ტფილისში გულმოდგინეთ ავრცელებდენ მთავრობის საწინააღმდეგო ბროკლამაციებს. რამდენიმე აგიტატორი პოლიციამ შეიპყრა.

22-ს გაფიცვა გაგრძელდა, მაგრამ დღემ მშვიდობიანათ ჩაიარა.

კვირას, 23 იანვარს, შეამჩნიეს, რომ მუშებმა იწყეს სვლა-გოდოვინის ბრიოსპექტზე, ს

დეგში ამგვარი აღარაფერი განმეორდეს. კომისია უნდა შესდგებოდეს დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენელთაგან, რომელთაც თავმჯდომარე დანიშნავს სხვა მინისტრებთან შეთანხმებით, მრეწველთა წარმომადგენელთა და მუშათაგან, რომლებსაც თვით მუშები აირჩევენ. კომისიის თავმჯდომარეს მიეცეს უფლება დამოუკიდებლათ მოახსენოს ხელმწიფე იმპერატორს კომისიის საქმეების შესახებ და მოიწვიოს კომისიის სხდომებზე ისეთი პირნი, რომლებიც სასარგებლონი იქნებიან საქმის განსჯის დროს; აგრეთვე დადგენილ იქმნას რაოდენობა და მრეწველთა და მუშათა წარმომადგენელთა და იმათი ამორჩევის წეს-რიგი.

პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, 31 იანვარს პეტერბურგის ყველა ქუჩაზე გაკრულიყო განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ, თანახმათ უმაღლესი ბრძანებისა, შედგა განსაკუთრებული კომისია; ამ კომისიამ უნდა გამოიკვლიოს პეტერბურგის მუშების უკმაყოფილოების მიზეზი და გამონახოს ისეთი ღონისძიებანი, რომლების საშვალებით შეიძლებოდეს უკმაყოფილოების მოსპობა. იმავე დღეს ყველა ფაბრიკებსა და ქარხნებში უნდა მომხდარიყო მუშების წარმომადგენელთა არჩევნები.

უმაღლესი ბრძანებით პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი კობეკო დაინიშნა იმ კომისიის თავმჯდომარეთ, რომელმაც უნდა გადაშინჯოს ბეჭდვითი სიტყვის შესახებ არსებული კანონმდებლობა. წევრებათ კი შემდეგი პირები დაინიშნენ: ბოროვიკოვსკი, სლუჩევსკი, ზვერევი, ლუკიანოვი, ნიკიტინი, კლიუჩევსკი, კონი, გრაფი გოლენიშჩევ-კუტუზოვი, არსენიევი, გაზ. „გრაჟდანინის" რედაქტორი მეშჩერსკი, გაზ. „კიევლიანინის" რედაქტორი პიხნო და „ნოვ. ვრემიას" გამომცემელი სუვორინი.

პეტერბურგსა და მოსკოვში უბედურების შემდეგ გაიფიცნენ ნაფიცი ვექილები და მათი თანაშემწენი. მათ უარი განაცხადეს საქმის წარმოებაზე და სასამართლოებმაც საქმეების განხილვა გადასდეს. ამას გარდა პეტერბუგის ნაფიც ვექილებმა და მათ თანაშემწეებმა წარუდგინეს მთავრობას მოხსენება. თხოულობენ ძირითად რეფორმას („ნ. დ.").

თავ. სვიატოპოლკ-მირსკის მაგივრათ, რომელმაც თანამდებობას თავი გაანება, საშინაო საქმეთა მინისტრათ დაინიშნა გოფმეისტერი ბულიგინი. ბულიგინი წინეთ მოსკოვის გენერალ გუბერნატორის თანაშემწეთ იყო

იუსტიციის მინისტრმა მურავიოვმა თავი გაანება სამსახურს. მის მაგივრათ სამინისტროს მმართველათ დაინიშნა მანუხინი.

საგანგებო კრება თფილისის ქალაქის საბჭოსი, რომელიც უნდა მომხდარიყო გასულ შაბათს, 29 იანვარს, ხალხისა და პრესის წარმომადგენელთა დაუსწრებლათ, აღარ მოხდა, რადგანაც ხალხი დაჟინებით თხოულობდა კრებაზე დასწრებას. ამ კრებაზე უნდა განეხილათ თფილისის მუშების ყოფა-მდგომარეობა.

ქ. ქუთაისში და ქუთაისის, ოზურგეთის და სენაკის მაზრებში შემოღებულ იქმნა **გაძლიერებული დაცვა**. („კავკ.")

---

26 იანვრიდან ბაქოს გაზეთები აღარ გამოდის.

უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორს კ. პ. პობედონოსცევს, რომელიც ახალი წლის პირველ იანვრიდან ავათ გახდა, ახლა ისევ მოუკეთებია, ასე რომ ამ ჟამათ ის საძინებელი ოთახიდან გამოდის თურმე და ლაბარაკიც შეუძლია.

როგორც ადგილობრივი გაზეთები გადმოგვცემენ, 16 იანვარს ბათომში, ნაშუადღევის ორ საათზე, მანთაშოვის ქარხნის მახლობლათ, მოუკლავთ საერობო დარაჯთა აფიცერი თ-დი ლ. გურიელი. პოლიცია ბევრს ეცადა მკვლელი აღმოეჩინა, მაგრამ იგი თურმე ისე გაქრა ხალხში, რომ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, იმის ვერაფერი გაიგეს.

ბათუმშივე 19 იანვარს, ნაშუადღევის 4 საათზე, მანთაშოვის ქარხნის მახლობლათ, მოუკლავთ კიდევ სამექანიკო ქარხნის „პასსეკ და ამხ."-ის გამგე ინჟინერი ალექსანდერი, რომელიც თვით ქარხნის ერთი პატრონთაგანი იყო. მკვლელი გაიქცა.

---

20 იანვარს დაბა ჩოხატაურში, დილის 7 საათზე, მოუკლავთ პრისტავი კოსტავა და ერთი სტრაჟნიკი.

ოფიციალური ცნობა: მათ იმპერატორებითი უდიდებულესობათ ხელმწიფე-იმპერატორმა და ხელმწიფა-იმპერატრიცებმა, აღიჭურვენ რა გულითადი თანაგრძნობით 9 იანვარს პეტერბურგში არეულობის დროს მოკლულთა და დაჭრილთა ოჯახებისადმი, კეთილ ინებეს თავისი საკუთარი საშუალებიდან ორმოცდაათი ათასი მანეთის დანიშვნა იმათ ოჯახების გაჭირვებულ წევრთა დასახმარებლათ.

ამას „ნაში დნი" დასძენს, რომ მხოლოთ ამ ოფიციალური განცხადების შემდეგ შესაძლებელი შეიქნა უბრალო კაცობრიული თანაგრძნობის გამოცხადება საშინელ 9 იანვრის მსხვერპლებისადმი. ერთი დღის წინეთ ამ ოფიციალური განცხადებისა ასეთი თანაგრძნობა თითქმის დანაშაულათ ითვლებოდა. ჩვენ აკრძალული გვქონდა არა თუ მოწოდებით მიგვემართა საზოგადოებისადმი დახმარების აღმოსაჩენათ დაშავებულებისათვის, ჩვენ აკრძალული გვქონდა თითქმის იმის გამოქვეყნებაც კი, რაც ამ მხრით გაკეთებული იყო. პეტერბურგის საბჭოს დადგენილების შესახებ, რომელმაც 25-ათასი მანეთი გადადვა ამ საქმისათვის, ჩვენ საზღვარგარეთის გაზეთებიდან შევიტყვეთ... მადლობა ღმერთსო, ათავებს გაზეთი თავის შენიშვნას, ამას შემდეგ გარდა მეშჩერსკისა სხვებსაც შეუძლიათ ხელი მოკიდონ ამ წმიდა საქმესო"!

თფილისის გუბერნატორმა 20 იანვარს შემდეგი განცხადება გამოსცა ქალაქში: „დღეს, 19 იანვარს, თფილისის რკინის გზის მუშებს მათი თხოვნისამებრ ნება მიეცა დეპუტატები აერჩიათ გუბერნატორისათვის თავისი საჭიროების მოსახსენებლათ. მუშებმა არ ისარგებლეს ამ ნება-რთვით. ამისათვის გუბერნატორი აცხადებს, რომ ყოველგვარი კრებები აკრძალულია.

როგორც „კავკაზი" იუწყება, 21 იანვარს თფილისში მოვიდა მანგლისიდან ლეიბ-ერევნის გრენადერის პოლკის ნაწილი, 27 იანვარს კი ბელი-კლიუჩიდან გრუზინსკი გრენადერის პოლკის ნაწილი.

---

25 იანვარს თფილისის ქალაქის საბჭოში 40-მდე ხმოსანმა შეიტანეს კოლლექტიური განცხადება შემდეგი შინაარსისა: „აღელვებულნი 23 იანვრის ამბებით, როცა დაშავდა მრავალი ღარიბი ქალაქის მცხოვრებლები, ჩვენ, ქვემორე ამის ხელის-მომწერთ გვაქვს პატივი წინადადება შევიტანოთ საბჭოში, რათა მან გადასდოს გაჭირვებულ დაშავებულთა და მათი ოჯახების სასარგებლოთ 2,000 მანეთი; განკარგულებები ამის შესახებ და ფულის დარიგება მიენდოს ამისათვის არჩეულ კომისიასო".

ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა შემდეგი განკარგულება მოახდინა საგზაო სამსახურის 1 და 2 ნაწილების უფროსთა მიმართ: „მოამზადეთ, რაც კი საჭირო იყოს რემონტის მუშათა და გზის დარაჯების დასათხოვნათ, რადგან ამათ 1 თებერვლიდან სამსახურზე უარი განაცხადეს.

ჯამაგირიდან, რასაკვირველია, უნდა გამოერიცხოს იმ დღეების ქირა, როცა მათ არ უმუშავიათ და ამასთანავე უნდა გამოეცხადოს მათ, რომ ხელახლა მიღება იმათი სამსახურში არას გზით არ შეიძლებაო“.

რა ეჭირვებათ მუშებს დღეს.

19 იანვარს იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ ცარსკოე სელოში მიიღო პეტერბურგის და მისი ოაიონის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა დეპუტაცია და განუცხადა მათ, როგორც ზევით მოყვანილი დეპეშიდან ჩანს, რუსეთის მთავრობა იზრუნებს, რამდენათაც შესაძლებელი იქნება, მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვისო.

ეს მაგალითი პირველია ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრებაში და იგი აშკარათ მოწმობს, რომ მართლაც ბევრი რამ საჭიროება მომწიფებულა მუშათა კლასისა, ისეთი, რომელიც ვერ ითმენს დაყოვნებას. ამას ხედავს მთავრობაც, მაგრამ ყველაზე უკეთ ხედავს მას და უფრო ახლო გრძნობს თვით დაინტერესებული კლასი. აქ ჩვენ ვერ შევალთ იმის განხილვაში, თუ როგორ და რა გზით ემსახურებოდა ამ მიზანს მთავრობა, ან რა გზით მოიპოვა მუშა ხალხმა ის მცირეოდენი გაუმჯობესობა თავისი მდგომარეობისა, რომელიც ასე თუ ისე დღეს ხელში უჭირავს. დღეს საქმე ისიმდგარია მუშათა კლასის აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე და ჩვენც სწორეთ იმას გვინდა მივაქციოთ ყურადღება, თუ რა ეჭირვება დღეს მუშა ხალხს.

ჩვენ დროში ყველასათვის დღესავით ნათელი და აშკარაა, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სხვადასხვა ელემენტთა შორის ბრძოლა არის გამეფებული. ეს ბრძოლა არის ცხოვრების მამოძრავებელი, იგი არის პროგრესის შემქნელი და განმტკიცებელი; ხოლო ბრძოლა იგი ხდება ეკონომიურ ნიადაგზე ორ მოწინააღმდეგე კლასთა შორის: იბრძვიან კაპიტალისა და შრომის წარმომადგენელნი. ეს ხდება ევროპაში, ასეა ჩვენშიც. ეს ფაქტია, ფაქტი ისტორიული, რომელსაც ვერც მთავრობა, ვერც მუშა და ვერც კაპიტალისტი ვერ აუხვევს გვერდს. და რადგან ასეა, მას პირდაპირ უნდა შევხედოთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ვართ დამსწრენი დიდ ისტორიულ-ეკონომიურ ბრძოლისა ბ რადგან საზოგადოებაში ატეხილ ბრძოლის დროს მხოლოთ ლაჩართ და ცხოვრებიდან გარიყულთ შეუძლიათ გულზე ხელ-დაკრეფილი ცქერა, ჩვენც უნდა გამოვარკვიოთ ჩვენი პოზიცია; ან ერთს უნდა მივემხროთ, ან მეორეს, ხოლო ორ სკამს შუა ჯდომა დღეს შეუძლებელია. წავიდა, და ვფიქრობთ საუკუნოთ, ის დრო, როცა კიდევ შეიძლებოდა ვისიმე მოტყუილება კლასთა შორის ინტერესების ჰარმონიაზე ლაპარაკით. სანამ კლასებია საზოგადოებაში, ე. ი. არიან ჩაგრულნი და დამჩაგვრელნი, მდიდარნი და ბერის მქონენი, მათი ინტერესების შეთანხმებაზე ლაპარაკი უბრალო წყლის ნაყვა იქნება. ხოლო თუ არის საზოგადოებაში რომელიმე ისეთი ელემენტი, რომელიც მოვალეა ამ ორთაშუა ბრძოლაში მტკიცე ნეიტრალიტეტი (მიუდგომლობა) დაიცვას, (ასე ესმის ბევრს მთავრობის დანიშნულება) თუ ეს ფსიხოლოგიურათ და ფიზიკურათ შესაძლებელია, მაშინ ეს მესამე პირი მხოლოთ იმას უნდა ეცადოს, რომ ორივე მებრძოლი ერთ პირობებში მოყვეს გარეგნულათ მაინც... აი ამ აზრს წავიმძღვარებთ წინ შემდეგ ჩვენ მსჯელობაში და ამის მიხედვით აღვნიშნავთ ჩვენ იმ კლასის სადღეისო საჭიროებას, რომელმაც ეგრეთ დაინტერესა უმაღლესი მთავრობა.

როგორც ვთქვით, დღევანდელი მუშათა მოძრაობა საზოგადოთ ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში აღმოცენებულია ქონებრივ უთანასწორობაზე, მუშა ხელის კაპიტალის მიერ დამონავებაზე. ყოველი მისი მოქმედება მიმართულია იმ მძიმე უდელის შემსუბუქებისა და ბოლოს სამუდამოთ მოშორებისაკენ, რომელიც დაუდგამს მისთვის უსამართლო ისტორიის მსვლელობას. აქეთ არის მისი მისწრაფება, მაგრამ მიზანი სხვაა და მისი მიხწევა კიდევ სხვა ბევრი ისეთი გარეგანი დაბრკოლება ელობება წინ ამ მისწრაფების განხორციელებაში ჩვენ მუშას, რომელიც სრულიად უცნობია დღეს ევროპიელისათვის. ჩვენში მოპირდაპირენი გარეგნულათაც არ აღიან ერთნაირ პირობებში, და ეს უთანასწორობა იქამდის მიდის, რომ არსებული კანონებით სარგებლობასაც კი შეუძლებლათ ხდიან. არის მაგალითათ კანონი, რომელიც ავალებს დამქირავებელს, რომ განსაზღვრულ საათზე მეტი დრო არ ამუშაოს დაქირავებულთ. აშკარაა ამ კანონის დარღვევა თუ დანაშაულათ არა წესის დარღვევათ მაინც უნდა ჩაეთვალოს დამქირავებელს ასეც არის, მაგრამ თუ ამ წესის დამრღვევის წინააღმდეგ უკმაყოფილება გამოაცხადა ერთზე ან ორზე მეტმა, იგინი საზოგადო ცხოვრების წესიერების დამრღვევათ იქნებიან აღიარებულნი და სისხლის სამართლის პასუხის ვებაში მოყვებიან. დამქირავებელთ შეუძლიანთ თავი მოიყარონ, კრებები მართონ და მოილაპარაკონ თავიანთ საჭიროებაზე, ხოლო თუ იგივე ჩაიდინეს დაქირავებულებმა, ისინი არა თუ კანონის დამრღვევათ, სახელმწიფოსთვის საშიშარ პირებათ იქნებიან აღიარებული. დამქირავებელთ შეუძლიათ იწუწუნონ მუშა ხელის გაძვირებაზე, შეუძლიათ და არა ერთხელ მომხდარა კიდეც, რომ მოითხოვონ სხვა და სხვა ზომების მიღება ამ მუშა ხელის გაიაფებისათვის, ხოლო დაქირავებულთ კი წინააღმდეგ ზომების მიღება აკრძალული აქვთ. დაკმაყოფილდეთ ამ მცირე და მკრთალი მაგალითებით. აქედანაც აშკარაა, რომ დღეს მუშა ხალხის საჭიროება არის მხოლოთ ერთი—მისი გათანასწორება საზოგადოების ანუ სახელმწიფოს სხვა ელემენტებთან და პრაქტიკული განხორციელება მხოლოთ ყველა იმ დასკვნის, რომელიც აქედან გამომდინარეობენ პირდაპირ და ლოლიკურათ, ჩვენ არ შეგვიძლია მოვთხოვოთ ვისმე დღეს ქონებრივი უთანასწორობის მოსპობა, ეს ისტორიის მსვლელობის და საწარმოო ტეხნიკის განვითარების შედეგი იქნება, მაგრამ გარეგანი პირობების, ე. ი. უფლებრივი არეს გათანასწორება კი აუცილებელია. კანონმდებლობა უნდა იცნობდეს მხოლოთ მოქალაქეს, საზოგადოების წევრს და არა მუშას, ხელოსანს, მექარხნეს, მემამულეს და სხვათ. კანონი ყველას ერთნაირათ უნდა უწყობდეს ხელს მისი ცხოვრების გაუმჯობესებაში, ყველას უნდა ჰქონდეს უფლება თავის საჭიროებაზე ლაპარაკისა, მის მდგომარეობაში მყოფ პირებთან შეერთებისა და შეკავშირებისა, ამ ყველასათვის თანასწორ კანონის მფარველობაში მოქმედებისა, თავისი ინტერესების დაცვისა. და თუ ეს ასეა, მშრომელი ხალხისთვისაც აუცილებელი საჭიროა დამყარდეს ისეთი წესი, რომელიც მოუტანს მას სიტყვის, სინიდისის და ყრილობის თავისუფლებას. მიეცით ესენი მას, მიეცით საშვალება დაიცვას თავისი თავი და დანარჩენს მოიპოვებს თვით. ჩვენ განზრახ აუხვიეთ გვერდი ამ წერილში ვიწრო ეკონომიურ კითხვებს, რადგან მათზე შეჩერება დღეს მეტათ მიგვაჩნდა, თუმცა შესაძლებელია ბევრს გაუკვირდეს კითხვის ასე დაყენება, რადგან მუშათა მოძრაობა და ეკონომიური მოთხოვნილებანი თითქმის სინონიმებათ არიან გა-

დაქცეული, ერთი მოვლენის ორ სახელს წარმოადგენენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყოველივე ეკონომიური კითხვის გადაჭრა-გამორკვევა ორ დაპირდაპირებულ კლასთა ბრძოლის შედეგი უნდა იქნეს და ყოველივე საუმჯობესოთ მოეწყობა კიდეც, როცა ეს ორი მოპირდაპირე თანასწორ უფლებით შეხვდებიან ერთმანეთს. ხოლო როცა ჩვენ იმაზე ვმსჯელობთ, თუ რას უნდა მიაქციოს ყურადღება მთავრობამ, რომელმაც განაცხადა სურვილი მუშათა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა, ჩვენ იმ სფერას შევეხეთ, რომელიც სავსებით მთავრობის ხელშია დღეს. ამ თავისუფალი ბრძოლის შედეგი იქნება სამუშაო დღის შემცირებაც, სამუშაო ქირის მინიმუმის დაწესება, მუშათა სახელმწიფო დაზღვევა, დაშავებულთა და ავათმყოფთა უზრუნველ ყოფა და სხვა და სხ. მხოლოთ საჭიროა წაილეკოს ცხოვრებიდან ყოველივე ის, რაც ამ თავისუფლებას ელობება წინ.

ნ. ელიავა.

რუსეთის ქრონიკა

მთელი განათლებული კაცობრიობა, მთელი ქვეყნის ჟურნალ-გაზეთობა, დღეს რუსეთის საშინაო საქმეებზე ლაპარაკობს. საყოველთაო მუშათა გაფიცვებმა, ქუჩის დემონსტრაციებმა, განსაკუთრებით კი პეტერბურგის საზარელმა ამბებმა, მთელი ქვეყნიერობა აალაპარაკა. ხალხის დიად მოძრაობასთან, თვით უსაშინელესი, რუსეთ-იაპონიის ომიც ფერსა კარგავს და ქრება. ასი ათასი ახალგაზდა ვაჟკაცის სისხლით მორწყული მანჯურიის მინდორ-ველი, დაღუპული და განადგურებული ძლიერი ფლოტი, დაცემული სიმაგრე პორტ-არტური, ათასობით ტყვეთ წაყვანილი მეომრები, ჩვენი ჯარის შიმშილი და სიშიშვლე, ურიცხვ დაჭრილთა კვნესა-გოდება, შიშისაგან ჭკუა-შემცდარ მეომართა სიმრავლე, და მრავალი სხვა ამგვარები, თითქმის ალარაფრათ მოსჩანან იმ დიადი მოძრაობისა და მღელვარების წინაშე, რომელიც რუსეთის ყველა კუთხეს ცეცხლივით მოსდებია და რომელსაც უნდა ჩანთქას მიზეზი ყოველივე ამ უბედურებათა. გათვითცნობიერებული ხალხი კარგა ხანია მიხვდა, თავის აუტანელ მდგომარეობას, მიხვდა, თუ რას უნდა მოელოდეს ის სხვისი ხელის შემყურალე, მიხვდა მიზეზს თავისი უზომო სიღატაკისას და სიბეჩავისას; მიხვდა და ერუთ ამოძრავდა; ამოძრავდა, რომ იხსნას თავი ხელოვნურათ შექნილ საზარელ პირობებისგან. ხალხის ცხოვრებაში ასეთი საერთო მოძრაობა ძლიერ იშვიათი მოვლენაა და ამიტომ ფრიად საყურადღებოა.

რუსეთის ჟურნალ გაზეთობა ამ ჟამათ მოკლებულია საშვალებას დღევანდელ ჩვენ საჭირბოროტო კითხვებზე მიუდგომელი სჯაბაასი იქონიოს მკითხველ საზოგადოებასთან და ეს უკანასკნელიც იძულებულია ათასჯერ გაწურული და შეკვეცილი ცნობებით დაიკმაყოფილოს თავისი სულიერი მოთხოვნილება. ამ ნაწყვეტ ფაქტებიდანაც შეუძლია ადამიანს გაითვალისწინოს საერთო სახე ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობისა. ერთი სიტყვით ყველასათვის ცხადია, რომ მეხუთე წელი მეოცე საუკუნისა რუსეთის ისტორიის წელთა აღრიცხვაში განსაკუთრებულს ადგილს დაიჭერს; ცხადია, რუსეთის ცხოვრება ისეთ ხანას განიცდის, რომლის მსგავსი ჯერ არ გამოუცდია. ეს არის ხანა სულიერი განახლებისა. მხოლოთ სრულიად გონება დახშული უნდა იყოს ადამიანი, რომ დღევანდელი ცხოვრების ფურცლებზე ხალხის ნამდვილი სურვილი ვერ ამოიკითხოს, რომ იქ ჩვეულებრივსა და ძველებურს გარდა ახალი ვერაფერი შენიშნოს, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ასეთებიც არიან, მაგრამ მათი უძლური ჩხავილი სრულიად იკარგება ხალხის ძლიერ ყიჟინაში. საერთო მღელვარება ჯერაც არ ჩამქრალა და ყველა კუთხიდან გაფიცვისა და დემონსტრაციის ამბები მოდის.

მაგალითად „ნოვ. დნ.“ ატყობინებენ, რომ 14 იანვარს ქ. მოსკოვში გაიფიცნენ პროხოროვის ფაბრიკის მუშები, რიცხვით 5.800 კაცი. ამ დღესვე გაიფიცნენ ბოსტანჟოგლოს თამბაქოს ფაბრიკის მუშები. ამათზე ცოტა უწინ შეწყვიტეს მუშაობა გაბაის და დუკატის ფაბრიკის მუშებმა. გუშინვე შეწყდა მუშაობა ვაგონების ამშენებელ ქარხანაში. ყაზანის რკინის გზის მთავარი სახელოსნოები და აგრეთვე სხვა რკინის გზებისაც, მესამე დღე გადის რაც შეჩერებულია. გაფიცული მუშები თავიანთ მოთხოვნილებაში, უმთავრეს ყურადღებას აქცევენ: რვა საათის სამუშაო დღის დაწესებას, სამუშაო ხელფასის მომატებას, მუშათათვის ბიბლიოთეკების დაარსებას და სხ. ჯერ-ჯერობით ადმინისტრაცია დათანხმდა ხელფასის მომატებას და აგრეთვე სამასი მანეთი შესწირა მომავალ მუშათა ბიბლიოთეკას. უკანასკნელ დღეების განმავლობაში თავისი მოთხოვნილება წარმოადგინეს საქსოვი ფაბრიკების, ჩამომსხმელ და მაშინის ქარხნების მუშებმაც. მწარმოებლებმა გადაწყვიტეს არაფერი დაუთმონ მუშებს. რისთვისაც უმჯობესათ სცნეს წარმოების შემცირება. ბრომლეის ქარხანაში გამოკრული იყო განცხადება, რომლითაც აცნობებდნენ მუშებს, რომ ისინი, ვინც სამუშაოთ არ გამოცხადდა, პირობის დამრღვევებლათ არიან ცნობილნი და 15 იანვარს უნდა გამოირიცხონ ქარხნიდან“.

◆ გაზეთ „რუსსკია ვედ“-ს წერენ ვარშავიდან, რომ იქ 14 იანვარს მუშათა გაფიცვა დაიწყო.

◆ როგორც გაზ. „ნაში დნის“ კორესპონდენტი გადმოგვცემს, სარატოვში შემდეგი ამბავი მომხდარა:

რვა იანვარს „პეში ბაზარზე“ სახაიეში კონცერტის დროს თავი მოუყრია 1500 კაცს,—უმეტესობა მუშები ყოფილა. ამათ აურჩევიათ თავიანთ შორის ხელმძღვანელი და დაუწყიათ პოლიტიკური ხასიათის კითხვების გარჩევა. იქვე ყოფილა მეოთხე ნაწილის პრისტავი თავისი გოროდოვოებით პრისტავი არ გარევია ერიდობის საქმეში და პოლიციმეისტერის თანაშემწესათვის შეუტყობინებია ტელეფონით საქმის ვითარება. პოლიციმესტერსაც არავითარი ზომები არ მიუღია ამ უკანონო კრების შესაწყვეტათ. „ამნაირი დაუდევრობისათვის“ გუბერნატორს თავის ბრანებაში პოლიციმესტერის თანაშემწესათვის საყვედური გამოუცხადებია, ხოლო პრისტავი 7 დღის ვადით დაუპატიმრებია. ორი დღის შემდეგ იმავე ქალაქში, კომერციულ კლუბში სტუდენტების სადამო გაუმართავთ. იქ მოსულა მუშების გამოგზავნილი დეპუტაცია. დაწყებულა კიდევ, „პოლიტიკური“ სჯა-ბაასი“. იქვე მყოფ პრისტავს პირდაპირ გუბერნატორისთვის შეუტყობინებია ეს ამბავი. „გაფანტეთ“ სასტიკათ უბრძანებია გუბერნატორს. „თქვენო აღმატებულებავ, მე მაგას ვერ ვიზამ,—მე უღონო ვარ თითონ მობრძანდით და თქვენი თვალით ნახეთ რისიც გაკეთება შეიძლება.

მიუხედავათ ამისა გუბარნატორი არ მისულა კლუბში, პოლიციას რასაკვირველია, ამ შემთხვევაშიაც შესაფერი სასჯელი მოელოდა, მაგრამ მან დაასწრო ამ საწყალ შედეგს შემდეგი საშვალებით: პოლიცმეისტერმაც და თანაშემწემაც სამსახური მიატოვეს. ამასვე აპირობენ პრისტავებიც. პოლიციელი ზედამხედველები და გოროდოვები უარს ამბობენ ხალხის საყვედურათ ხმლების და მათრახების ხმარაზე. საზოგადოება კი ამ თავისებური გაფიცვის დამწყებს პოლიცმეისტრის თანაშემწეს სამადლობელ ადრესს უმზადებს.

◆ 11 იანვარს პეტერბურგში მოხდა მინისტრთა კომიტეტის სხდომა. კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ი. ვიტტემ წინადადება შეიტანა, რომ იმავე სხდომაზე განეხილათ 9, 10 და 11 იანვარს პეტერბურგში მომხდარი შემაძრწუნებელი ამბები, გამოეკვლიათ ამის მიზეზი და შეემუშავებიათ ზომები, რომელთა საშვალებით მომავალში მაინც აღარ გამეორებულიყო ასეთი საწუხარო მოვლენა. ვიტტეს წინადადება კრებამ არ მიიღო. უმეტესობამ ის აზრი გამოთქვა, რომ ამ კითხვის განხილვა მინისტრთა კომიტეტის საქმე არ არისო და რომც იყოს, დღეს მაინც შეუძლებელია ამაზე ლაპარაკიო, რადგან ეს კითხვა უწყებაში მოხსენებული არ იყოო. გარდა ამისა კომიტეტს არ აქვს საკმაო მასალა ამ კითხვის ყოველ მხრივ განხილვისათვისო. შემდეგ კრება შეუდგა 12

დეკემბერს გამოცემული ბრძანების იმ მუხლის გარჩევას, რომელიც გაძლიერებულ დაცვას შეეხება.

უმეტესობამ უარო აწ არსებული დროებითი კანონის მნიშვნელობა იმ მოსაზრებით, რომ გაძლიერებულმა დაცვამ რუსეთში თრიად სამწუხარო შედეგი მოიტანაო. გარდა ამისა მიაქციეს უურადღება იმ გარემოებასაც, რომ ეს კანონი გამოსცა მინისტრთა კომიტეტმა, თუმც კანონ მდებულ ორგანოთ სახელმწიფო საბჭო ითვლება და არა მინისტრთა კომიტეტი. ასეც რომ არ იყოს, გაძლიერებული დაცვის კანონი—დროებითი კანონი იყო. მიუხედავთ ამისა აგერ ოცდა ხუთი წელიწადი გავიდა მას აქეთ, რაც ის თავის ძალას არ კარგავს და ძირითადთ ეწინააღმდეგება აწ არსებულ კანონმდებლობასაც კი, ვინაიდან იგი მოქალაქეს ართმევს იმ პირად უფლებებს, რომლებიც მას კანონით ეკუთვნის. კომიტეტის კრებამ დაადგინა, რომ საჭიროა მოისპოს გაძლიერებული დაცვა იმ ადგილებში, სადაც მას ვაა გაუდის, და განახლდეს მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ რომ ამას სახელმწიფოს მშვიდობიანობა მოითხოვსო. („ნაშა ჟიზნი").

◆ გაზ. „ნაშა ჟიზნის" 16 იანვრის ნომერში წერია:

დღეს საოჯახო სასამართლოში უვეალს ეურადღებას იქცევდა შემდეგი სურათი: სუუვალ ადვოკატებს თავისი ნიშნები სამკლოვიარო დოლმანდში გაეხვიათ.

◆ იმავე გაზეთში ვკითხულობთ: მოსკოვის გრადონაჩალნიკის თანამდებობის აღმასრულებელმა შემდეგი ბრძანება გამოსცა:

არბატოვის სახლის მეეზოვე, გლეხი მოქსანი დათხოვნილ იქნა მეეზოვის თანამდებობიდან, რადგანაც იგი არა კეთილსაიმედო პირი აღმოჩნდა. (ნაშა ჟიზნი).

◆ ქ. სამარიდან 21 იანვარს ტელეგრაფით ატეობინებენ «ნაშა ჟიზნს» გაზეთები ადრ გამოდიანო.

◆ იმავე გაზეთს ეკატერინოსლავიდან ატეობინებენ: ტრამვაის კონდუქტორმა აკიმოჩკინმა კოგორდის სიმეაგე შესახა კონდუქტორ ბერელმანს, რომელსაც ჩვეულებათ ქონდა მოსამსახურეების დაბეზღება.

◆ მოსკოვის საბჭოში ისე, როგორც პეტერბურგისაში, რამდენიმე ხმოსანმა შეიტანეს შემდეგი განცხადება: აქვთ თუ არა უფლება ბოლიციელებს მოიხმარონ მეეზოვები ბოლიციის მოვალეობის ადსრულებაში. („ნ. ჟ.")

◆ მოსკოვის ქალთა უმაღლეს კურსებზე ამ წლის განმავლობაში სწავლა ადრ განახლდება. („ნ. ჟ.).

◆ გაზ. „ნოვ. ვრ."-ს კორესპონდენტი შეკდენიდან შემდეგს იწერება: შინაურ არეულობის ამბავი მეტათ ცუდათ მოქმედებს მანჯურიის არმიაზეო. იაპონელებმა თურმე წერილი მიუგზავნეს რუსის სალდათებს: რადა ჩვენთან ომისა გეხელათ, შინ გაეშურენით, თქვენი ოჯახები და ცოლშვილი ეაზახებისაგან დაიხსენითო.

◆ პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლა შეწყდა. როგორც გაზ. „სლოვო" კალმოგვეცემს, მიზეზი ისა ეოფილა, რომ 11 ბროფესორს საბჭოში აწანდელ საქმეთა ვითარების შესახებ მოხსენება შეუტანია. ამბობენ, მომდინარე სემესტრში დექციების კითხვა ადრ იქნებაო.

◆ ამ ეამათ პეტერბურგში ეკვალ მალალ სასწავლებელში სწავლა შეწეეტილია. პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორი, როგორც გაზ. „Русь" კალმოგვეცემს, იწვევს რჩევაზე ეკვალ სასწავლებლების რექტორებს და დირექტორებს იმის გადასაწეეტათ, თუ როდის უნდა დაიწყონ იქ მეცადინეობაო.

◆ დიდი უბედურება მოუვა გაფიცვას ვარშავაში, სადაც, როგორც „რუს. სლ." კალმოგვეცემს, ოფიციალურათ გამოქვეყნებულ ცნობებით, მოუკლავთ სამოცი კაცი და დაუჭრიათ სამოცდა ათი. ბოლიციის, ჟანდარმებისა და ჯარის მხრივ დაჭრილა შვიდი კაცი. დაუპატიმრებიათ სამასი კაცი. შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწეეტილებით შემოღებულ იქნა გაძლიერებულ დაცვის წესები ვარშავასა და ლოძში, ვარშავისა და პეტროკოვსკის გუბერნიებში. ქუჩებში წესიერების აღდგენის დროს, რუსის ჯარის გუსარები თავს დაეცნენ ინგლისის კონსულს და ვიცე-კონსულს, ვიცე-კონსული წაუქცევიათ და რამდენჯერმე ხმალიც შემოუტარებიათ. პეტერბურგში მეოთვმა ინგლისის ელჩმა, კაიგო თუ არა ეს ამბავი, მოითხოვა რუსის მთავრობას საქმის გამოძიება და ელჩების დაცვა ამგვარ განსაცდელისაგან.

◆ „ფინლ. გაზეთი" ასეთ ნაირათ ასწერს ამ დღეებში ჰელსინგფორსში მომხდარ ამბებს:

11 იანვარს, დღისით ჰელსინგფორსის ქუჩებზე გაეკრათ მოწოდებები, რომლებითაც იწვევენ ხალხს საღამოს 7 საათზე ჰენრიხის ქუჩაზე შეკრებილიყვნენ „პეტერბურგიდან მოსული საპატიო ცნობების მოსასმენათ". ამავე დროს, ამნაირივე შინაარსის პროკლამაციები გაევრცელებიათ ქარხნებში და სახელოსნოებში. დანიშნულ დროზე ჰენრიხის ქუჩის ახლო, მოედანზე თავი შეიყარა ხალხის დიდმა გროვამ, რომელიც მუშებიდან და ინტელიგენციიდან შედგებოდა. გროვას მიემატა ორივე სქესის ახალგაზრდათა ჯგუფი, რომელიც სასტუდენტო სახლიდან გამოვიდა და გაყვა ხალხს ჰელსინგფორსის ქუჩებზე წითელი დროშებით და და ყვირილით: „გაუმარჯოს რევოლიუციას", „ძირს რუსეთი", „ძირს რუსეთის მტარვალობა", „ძირს ომი", და ვინ იცის კიდევ რა. ხალხში ავრცელებდენ პროკლამაციებს, რომლებშიაც აღნიშნული იყო, რომ რუსეთში ვითომ საყოველთაო რევოლიუცია დაწყებულიყოს და ამიტომ საჭიროა ფინლანდიამაც ისარგებლოს ასეთი მომენტით და რევოლიუცია მოახდინოსო. რუნებერგის ძეგლთან ვიღაცა კაცმა, რომელსაც პირისახე თეთრათ ქონდა შეღებილი, წარმოთქვა აღმაფრთოვანებელი რევოლიუციონური სიტყვა, რაზედაც ხალხმა უპასუხა ყვირილით: „ძირს რუსეთის მტარვალობა"-ო და სხვ. სტვენით, ყვირილით და ჩოჩქოლით მიდიოდა წინ ქალაქის ქუჩებზე რვა-ათასამდე კაცი, ჩაიარა ესპლანადა, გენერალ-გუბერნატორის სახლი, რომლის წინ ყვიროდა „ძირს რუსის გენერალ-გუბერნატორი"-ო და საწინააღმდეგო დემონსტრაცია მოახდინა ფინლიანდიის საიმპერატორო სენატის პროკურორის ბინასთან, სეიმის პერრონიდან წარმოთქვა რამოდენიმე ამამღელვარებელი სიტყვები; სეიმის სახლიდან ხალხი გაემართა გაზ. „Uusi Suometar"-ის რედაქციისაკენ, დალეწა რედაქციის კარები და ფანჯრები და დაიწყო გაზეთის ნომრების ხევა. ქუჩებზე ხალხი ლეწდა და ამტვრევდა რესტორანების, სასტუმროების, ლუდხანების და სხვა ამგვარ შენობების ფანჯრებს. დროგამოშვებით რევოლვერის ხმა მოისმოდა ხალხიდან. აღსანიშნავია ის, რომ ხალხმა თანაგრძნობითი მანიფესტაცია მოახდინა სინათლით გაკაშკაშებულ „სარაინდო სახლის" წინ, სადაც ამ დროს თათბირობდენ „კონსტიტუციონალისტები". ღამის თორმეტ საათზე უწესოება თავისთავათ, ძალდაუტანებლათ შეწყდა. მეორე დღეს საღამოს 7 საათზე ხელახლა განახლდა უწესოება, აუარებელი ხალხი დადიოდა ქუჩებზე წითელი დროშებით. ზოგიერთ დროშებზე მოჩანდა რევოლიუციონური შინაარსის წარწერა. როდესაც პოლიციამ მოინდომა მედროშეების დაჭერა, ხალხიდან რევოლვერები ისროლეს და დასჭრეს ორი კონსტაბლი,—ერთი მსუბუქათ, მეორე კი მძიმეთ. წესიერება მხოლოთ მაშინ იქნა აღდგენილი, როცა პოლიციამ ხმლები იშიშვლა და ხალხი გაფანტა. დაიჭრა მსუბუქათ ერთი და დაშავდა რამოდენიმე კაცი. ჰელსინგფორსს გარდა უწესოება მოახდინეს აბოსა, ბიერნებორგსა, ლახტისა, კოტკსა, ვიბორგსა, ტამერფორდსა, ლოვიზსა და ზოგიერთ სხვა ქალაქებში. ამ ქალაქთა უმეტეს ნაწილში აუარება ხალხი, რომელსაც თითქმის განსაკუთრებით ადგილობრივი ინტელიგენცია შეადგენდა, დადიოდა ქუჩებზე, მღეროდა პატრიოტულ სიმღერებს და ხმა-მაღლა გამოთქვამდა თავის სიხარულს შესახებ რევოლიუციისა, რომელიც ვითომდაც მთელ რუსეთს მოდებოდეს. („ნ. ჟ.").

ომის ამბები.

27 იანვარს ერთი წელიწადი შესრულდა რუსეთ-იაპონიის ომის გამოცხადების დღიდან. ერთი წელიწადი—კარგა დიდი დროა და ჩვენი მხედრობის ხელმძღვანელებს უნდა გამოერკვიათ: სასარგებლოა ქვეყნისათვის ეს საზარელი კაცთა ჯლეტა თუ მხოლოთ საზარალო. ომის გამოცხადების დღიდან დღევანდლამდე ჩვენი მხედრობის მხოლოთ დამარცხება ისმის. გაიხსენეთ ზღვაში ჩაღუპული წყნარი ოკეანეს ძლიერი ესკადრა, რომლის მარტო ღირებულება, ადამიანთა მსხვერპლს გარდა ას მილიონობით უნდა დაითვალოს. გაიხსენეთ პირველი მარცხი ჩვენი ხმელეთის ჯარის მდ. იალუს ნაპირებზე ტიურენჩენის მიდამოებში, სადაც გენ. კუროკიმ

უკან დაახევია ჩვენ მხედრობას და მრავალი ზარბაზნები ჩაიგდო ხელში. ტიურენჩენის ბრძოლის შემდეგ ჩვენი ჯარი სულ უკან-უკან იხევს და იაპონიის მხედრობაც ნელა ფრთხილი ნაბიჯით უკან მისდევს.

გამწვავებული ომები ცინჯოუსა, ვაფანგოუსა, დაშიჩაოსა, ლიაოიანსა და შახეზე მხოლოთ იაპონელთა გამარჯვებას ღაღადებენ, მხოლოთ იმათ მომზადებასა, გაპედულებასა, თავგანწირულებას და სიმამაცეს ამტკიცებენ. ომის ღმერთს ერთხელ რა არის, ერთხელაც არ გაუცინია ჩვენი მხედრობისათვის; ჩვენს მხედრობას, რომელიც მთელ ქვეყნიერობას შიშის ზარსა ცემდა თავისი მრისხანე სახელით, იაპონელებთან ომში ერთხელაც არ უგრძვნიათ გამარჯვების სიხარული და აღფრთოვანება. ყველა სამხედრო მწერალი ამ სამწუხარო მოვლენას თავისი მიხედულობითა ხსნის. ზოგი მათგანი ამბობს: მიზეზი იაპონელთა გამარჯვებისა მხოლოთ იმით აიხსნება, რომ იაპონელი სალდათი გონებრივათ, ე. ი. სწავლით ბევრათ უფრო მაღლა დგას ჩვენსაზე, რომ იმას უფრო მეტი მოხერხების უნარი აქვს, რომ ბძოლის ველზე არ იბნევა და აფიცრის დაუხმარებლივაც ადვილათ ასრულებს თავის დანიშნულებას, ერთი სიტყვით, იმას უჭრის გონება. რუსის სალდათის უმთავრესი დამახასიათებელი თვისება, ბ-ნი კირილოვის სიტყვით არის: „არ შემიძლია ვიცოდე.“ (რ.)

ზოგი სამხედრო მწერალი იაპონელთა გამარჯვებას სხვა მიზეზით ხსნის. ისინი ამბობენ: თვით ხასიათი ამ ომისა ხელს უწყობს ჩვენ მტერს, ის იბრძვის თავისი არსებობისათვის, მთელი იაპონიის ინტერესებისათვის, იქ ყველა სალდათმა იცის, რომ იაპონიისათვის აუცილებელია კორეიაზე გავლენა ჰქონდეს, რომ ის გადასახლებელ კოლონიათ გაიხადოს, რადგან თითონ იაპონიის კუნძულები ვეღარ იტევენ 50 მილიონ მცხოვრებლებსო. რუსის სალდათი კი იბრძვის მხოლოთ იმიტომ, რომ მას უბრძანებენ იბრძოლოს, კვდება იმიტომ, რომ უბრძანებენ მოკვდეს. მიზეზი კი ამ ომისა მას სულაც არ გაეგება. მან არ იცის რისთვის იბრძვის ამ სხვის ქვეყანაში თავის სახლიდან ათი-ათასი ვერსის მანძილზე, არ იცის ვის ინტერესებს ემსახურება. იბრძვის ის ახალი ქვეყნის შესაძენათ? არა; არა-იმიტომ, რომ სამხედრო კორესპონდენტები ხშირათ გადმოგვცემენ მეომართა სიტყვებს: „რათ გვინდა ჩვენ ახალი ქვეყნები, როცა თვალ-უწვდენელი მამული ისევ ნახევრათ ცარიელი გვაქვსო“. ასევე ამბობენ იაპონელთაგან ტყვეთ წაყვანილი სალდათები. რასაკვირველია, როგორც პირველი მიზეზი, ისე ეს მეორეც არ არის სრულიად საფუძველს მოკლებული და რუსეთ-იაპონიის ომის მიმდინარეობაზე ორივე მიზეზს გაღლენა აქვს. არიან ისეთი პირებიც, რომელნიც მტრის გამარჯვებას მათი მთავარ-სარდლების ნიჭიერებითა და მომზადებით ხსნიან. ამბობენ სამხედრო საქმე, იაპონელ მთავარ სარდლებს უკეთა აქვთ შესწავლილი და ამიტომ ჯარს უკეთ ხელმძღვანელობენო. ბ-ნი კირილოვი თავის წერილში (იხ. გაზ: «Русь»-ი) არღვევს ამ შეხედულებას და დასამტკიცებლათ მოყავს გენ. კუროპატკინის სიტყვები: „ჩემი აზრით, იაპონელთა სამხედრო მოქმედებას სულაც არ ეტყობა ნიჭიერი ხელმძღვანელობა, პირიქით, ის უვარგისია. იცით თქვენ, ისინი რომ თაობაში უფრო გონივრულათ მოქცეულიყვნენ, ჩვენ ახლა ხარბინს იქით ვიქნებოდითო“, უთქვამს გენერალს დაშიჩაოში ყოფნის დროს. ვინ იცის, იქნება ესეც მართალი იყოს, მაგრამ ამით მაინც არ მტკიცდება, ჩვენი მთავარ-სარდლების უპირატესობა, პირიქით თვით ეს, ასეთ გარემოებაში ჩვენი ჯარის ჩაყენება იაპონელთა მოხერხებას ამტკიცებს. ყოველ შემთხვევაში, ვეჭვობთ, ამ მიზეზით აიხსნას ჩვენი ჯარის ზედი-ზედ დამარცხება. მაშ რა არის მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისაო,—გაიძახის რუსეთის მოწინავე ჟურნალ-გაზეთობა, რომელსაც გული შეტკივა ასე ულმერთოთ და უსარგებლოთ გაჟღეტილ ახალგაზრდათა და ობლათ დარჩენილ წვრილ-შვილთა ბედზე, რომელიც გრძნობს იმ აურაცხელ დაჭრილთა კვნესა-გოდებას, რომლებითაც გამსებულია შორეულ აღმოსავლეთის საავადმყოფოები; სად იმალება ამ საშინელების ძირიო, და ყველანი ერთათ, ქვეყნის უბედურების მიზეზათ ჩვენ ბიუროკრატიულ მთავრობას ასახელებენ. თვით კონსერვატორებიც კი „ნოვოე ვრემიას“ პირით ამასვე ღაღადებენ. ამბობენ: თურმე ჩვენი ძლიერება მხოლოთ ქაღალდზე ყოფილა; ნამდვილათ კი უბრალო შეტაკებამ გამოარკვია და დაგვანახა ჩვენი მოუმზადებლობა და უძლურება. პორ-არტურის დაცემის შემდეგ ბევრი მოელოდა ომის შეწყვეტას, მაგრამ, როგორც ვხედავთ, იმედი გაცრუვდა: ორი ძლიერი არმია, ერთი მეორის მახლობლათ მიწაში ჩამძვრალს ათას გვარი ხელოვნიური საშვალებით გამაგრებულ ადგილებში ჩამჯდარი მოპირდაპირის დაცემას ელოდება. მოსალოდნელი იყო, რომ ამ ორ ძლიერ ლაშქარს ერთმანეთს არ შეატაკებდნენ და უსარგებლოთ, გაჟღეტილთა რიცხვს კიდევ ათასობით ახალგაზრდათა გვამებს არ მოუმატებდენ. მოწინავე პრესა დაჟინებით თხოულობს საზარალო ომის შეწყვეტას. თხოულობს ამას თვით აუტანელი მდგომარეობა ჩვენი ხალხისა, გაღატაკებულ ხალხისა; მაგრამ აი ქვეყანას ეუწყა გენ. გრიპენბერგის არმიის გალაშქარება იაპონელთა მარცხენა ფრთის წინაღმდეგ, რომელსაც მარშალი ოკუ უფროსობს. როგორც გამოირკვა, გენერალ გრიპენბერგს სურდა, პორტ-არტურიდან წამოსული არმია გენ. ნოგისა, რომელიც მარშალ ოიამას მხედრობის მარცხენა ფრთის გასაძლიერებლათ იყო დანიშნული, როგორმე შეეფერხებია და მოხერხებული პოზიცია დაეჭირა. აი ამ მიზნით გაილაშქარა გენ. გრიპენბერგმა და ჩვენი მხედრობის გულში კვლავ გაიელვა გამარჯვების იმედმა. ჩვენ ჯარს უნდა აეღო რამდენიმე მაგარი სოფელი, მათ შორის სანდეპუ. ხუთი დღის ბრძოლის შემდეგ გენერალმა გრიპენბერგმა უკან დაიხია. იაპონელთა სიმაგრეები თითქმის მიუდგომელი გამოდგა, ჯარიც უწინდებური თავგანწირულობით იბრძოდა. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ჩვენს ჯარს 13,000 ძეომარი დაეკლდა, ხოლო სარგებლობა კი არავითარი უნახავს. იაპონელთა მომავალ ისტორიას კიდევ ერთი გამარჯვების ფურცელი მიემატა, ჩვენსას-კი—ერთი დამარცხებისა. ეს გალაშქრება არ მოსდებია მთელ ფრონტს სამხედრო ასპარეზისას, მაგრამ შეიძლება ახლო მომავალში გავიგონოთ ისეთი საზარელი ამბები, რომელთა-მაგვარი ჯერაც არ გაგვიგონია. (რ. ვ.).

სალამი.

შემოკრბით, სულის სწორებო,
გაგვაკაჟ-გაგვაფხიანეთ!
კვლავ შევქმნათ ძალა ახალი,
კმარა რაც დავიგვიანეთ!..

გავნასკვოთ ძაფი რომ გაწყდა,
მით აღვადგინოთ კავშირი!
შეუჩინჩხალოთ... ნაკვერცხლათ
ვაქციოთ ცივი ნახშირი!..

დეე ის, ძალით მოსილი,
მოგუზგუზ-მოხმაურობდეს
და ნაკვალევზე კვლავინდებრ
თვით ლამპრათ მოგზაურობდეს!

საცო ავხადოთ ბაგესა—
დუმილი-მრავლის მეტყველი:
მშრომელი ელის მოსარჩლეს
და ნაცნობ სალამს—მკითხველი!..

დ. თომაშვილი.

სიტყვა ჯოჯოხეთში, ეშმაკი სამოთხეში და სამი წერტილი.

იმ დროს, როცა „სიტყვა“ ჯოჯოხეთის ბანკეტზე „რეჩს“ ამბობდა, მე პუშკინის ბაღის კუთხეში ვიდექი და ჯოჯოხეთიც ხომ იქვეა. ჩემს მახლობლათ ირეოდენ ქურუმები, ტვინმეისტრები, მასწავლებლები, მოსამართლენი, მუშები, გლეხები და სხვადასხვა კატეგორიის ეშმაკები.

თუმცა ბუნებით ეშმაკი ვარ და ამიტომ ადამიანთა მტერი, მაგრამ მაინც ღირსეულათ ვაფასებ ვაჟკაცის სიმტკიცეს და გაბედულებას. ვერ წარმოიდგენთ როგორი ზიზღი მომგვარეს იმ ლაჩარმა მოხელეებმა, რომლებიც ანგარიშს აძლევდენ ჩვენს ყოვლის შემძლე კაკარდიან ტარტაროზს. იმათი მონური გაქნილი ენა და საზიზღარი მოქმედება თუმცა ჩვენი ჯოჯოხეთისათვის ძლიერ სასარგებლოა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მე სრულიადაც არ თანავუგრძნობდი მათ. პირიქით, ჩემს სახეზე უთუოთ ზიზღი და სიძულვილი იხატებოდა ამ დროს.

მაგრამ ვერ წარმოიდგენთ ჩემს აღტაცებას, როდესაც ასპარეზზე „სიტყვა“ გამოვიდა და ლაპარაკი დაიწყო. ოჰ, ჯოჯოხეთო, ჯოჯოხეთო! რა დიდებული და თვალწარმტაცი სანახავი იყო ის ამ დროს!! იმის მრისხანე ხმას ჭექა-ქუხილი გაჰქონდა, იმისი თვალები ელვას აფრქვევდენ! მთელი ჯოჯოხეთი შიშის ზარმა აიტანა; ყველა რაღაცა არა ჩვეულებრივ რისხვას მოელოდა.

მაგრამ... თურმე ყველაფერი თვალთმაქცობა ყოფილა და ის, ვინც მაგრა იწყებს ლაპარაკს, ყოველთვის რბილათ ათავებს. საკმარისი დარჩა ტარტაროზის ერთი შემოძახილი, რომ „სიტყვას“ გზა-კვალი დაბნეოდა და... და გაქცეულიყო. დიახ, ის დაეშვა სემინარიის დალმართზე სალდათის ბაზრისაკენ, უკან კი ეშმაკები მისდევდენ. ვხედავდი ამას და გული მიკვდებოდა. ჩემს თვალწინ ისევ ის სილაჩრე და გაუბედაობა, ისევ უკან დახევა, ისევ გაქცევა. ადამიანებს ტყვილათ არა აქვთ ანდაზა: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგანო“! რამდენი მხდალი და ლაჩარი კაცუნა სარგებლობს ამ ანდაზით?!.

ამ ფიქრებში ვიყავი გართული, რომ უცებ კისერში მუჯლუგუნი მომხვდა და სამ ნაბიჯზე გადამისროლა.

— აქ რას გაშეშებულხარ, შე ყურმუსაღო! გამოვუდექ იმ ლაჩარს და არ მოშორდე, სანამ ხელში არ ჩაიგდო, გესმის?—დამიღრიალა ჩემმა მბრძანებელმა და მეც პასუხის მიუცემლათ გავქუსლე.

„სიტყვა“ ქუდ-მოგლეჯილი მირბოდა. აღარ არჩევდა გზასა და კვალს; ხან ვის წაატყდებოდა, ხან ვის, მაგრამ შეჩერებით მაინც არ შეჩერებულა. მეც მოვიკრიბე ძალი და ღონე, ის იყო უნდა დავწეოდი, მაგრამ გაიღო უცებ უზარმაზარი სახლის კარები და შიგ შევარდა. მე შევჩერდი. ან კი რა უნდა მექნა... ავიხედე მაღლა და სახლის სახურავთან ერთი გრძელი ფიცარი შევამჩნიე, რომელზედაც ოქროს ანბნებით ეწერა „ეროვნული სამოთხე“. როდესაც ადამიანი ცუდს რამეს იზამს, მაშინვე ჩვენ გვაბრალებს: ეს ეშმაკმა მაცდინაო; ეშმაკმა ჩამჩურჩულაო და სხ. ჩვენ, ეშმაკები, კი მოკლებულნი ვართ ამგვარ საბუთებს.

— მოდი ერთი შევალ, რაც იქნება იქნეს-მეთქი! გავივლე გულში და მარჯვენა ხელის ცერით დავაწევი პატარა თეთრ წერტილს, რომელიც იქვე კარებზე იყო მიბნეული.

უცებ კარები გაიღო და შიგ მოვექეცი. გაგონილი მქონდა: სამოთხეში ისინი შედიან, ვინც ეს წუთისოფელი ტანჯვა-წვალებაში გაატარა, ვინც დღე და ღამ მშიერ-მწყურვალი იყო, ვინც ყოველივე უსამართლობას ითმენდა და ტანზე დახვეულ მატლებსაც არ იშორებდა, რომ მათთვის ცხოვრების სახსარი არ მოესპო; ვინც თავის ყოველივარ მოთხოვნილებას უარყოფდა და თავის ვინაობას კარგავდა.

თუმცა ვიცოდი, რომ ყოველივე ეს კაცთაგან მოგონილი სისულელე იყო, მაგრამ რას იზამ. მეც საწყალი კაცის სახით შევედი დიდსა და ნათელ ოთახში, რომელიც ყოველგვარი სამკაულით მდიდარი იყო. მართალი მოგახსენო, სამოთხე შვენიერ ბაღათ მქონდა წარმოდგენილი და მეგონა, იქ უმაღლესი სამართალი და თავისუფლება ყველასათვის ხელმისაწდომი იყო. და წარმოიდგინეთ თქვენ ჩემი აღტაცება, როცა აქაც იგივე ჯოჯოხეთური უსამართლობა, იგივე ჩვენებური უსწორ-მასწორობა და უფროს-უმცროსობა დამხვდა. ზოგიერთი გულუბრყვილო ადამიანი ფიქრობს: სამოთხეში სრული თანასწორობა სუფევს, რომ იქ ადამიანს სრულიად უშრომლათ შეუძლია შვენივრათ იცხოვროს, რომ იქ არ არის ერთისაგან მეორის დაჩაგვრა და სხვა ამგვარები. წარმოიდგინეთ თქვენ: ერთხელ ყური მოვკარი ქმრისაგან გალახული ცოლის ჩივილს: „ღმერთო, როდის მაღირსებ სამოთხეში შესვლას, რომ ჩემს გასაჭირს ბოლო მოეღოსო“. ის საბრალო დარწმუნებული იყო, რომ სამოთხეში ის ქმარი იქნებოდა, ხოლო ქმარი ცოლათ გადაიქცეოდა. ერთი სიტყვით ადამიანები ძლიერ შემცდარი აზრისა არიან თურმე სამოთხის შესახებ...

დიახ, როგორც ჩვენს ჯოჯოხეთში, აქაც იგივე უთანასწორობა: ეს მთავარ-მოხელეო, ეს ისე მოხელე, ეს კარის მსახური, ეს ხალხის გამრავლების სტატისტიკოსი და სხვ. მიხეილ მთავარ-მოხელეს, ყველანი „კნიაზს“ ეძახდენ და მასთან მოწიწებით ეჭირათ თავი. ძლიერ მესიამოვნა, რომ ადამიანთაგან ქვეყნათ შექნილი უთანასწორობა, აქაც უკლებლივ გადმოეტანათ. მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, როგორ მეუცხოვა თითონ სამოთხელთა გარეგნობა. ეშმაკი რომ ეშმაკია ქვეყანამ იცის, უშნო და მახინჯი, მაგრამ სამოთხის ბინადარი ხომ ნათელი და უმანკო სახის უნდა იყოს?!. ჩემს დღეში არსად მენახა წვერ-ულვაშიანი „ანგელოზი“ და რომ დარწმუნებული არ ვყოფილიყავი მათს პიროვნებაში, უთუოთ უბრალო კომერსანტებაო ჩავთვლიდი. მაგრამ ის მომხიბვლელი ტკბილი სიტყვა, რომელიც მთელს ზალას ავსებდა, რომელიც ყველა სამოთხელის პირისაგან ნაკადულივით გადმოჩქეფდა, დიახ, ეს საამური ღაღადი გაჭირვებულთა კეთილ-დღეობაზე, ტვირთმძიმეთა ნუგეშის-ცემაზე, გონება-ბნელთა განათლებაზე, ყოველივე ეჭვს გაგიქრობდა და დაგარწმუნებდა, რომ სწორეთ სამოთხეში იმყოფები და არა სავაჭრო კანტორაში, სადაც ვითომ კეთილი სიტყვითაც ვაჭრობდენ.

როგორც ჯოჯხეთის შვილი, მე თავს უხერხულათ ვგრძნობდი „ანგელოზთა“ შორის და მხოლოთ მიხეილის ღიმილი მამხნევებდა და იმედს მაძლევდა. ის ნელი ნაბიჯით მომიახლოვდა და ხელი გამიმიწოდა. მე ჩემი სახელი და გვარი ვუთხარი, რასიკვირველია.

— აჰ, ვიცი, ვიცი! ძლიერ სასიამოვნოა, რომ თქვენ ასეთი ნაყოფიერი შრომა შეგძლებიათ. მე ვხედავ, რომ თქვენი სურვილი, გაჭირვებულ ხალხს დახმარებოდით, სანახევროთ შეგისრულებიათ. თქვენ ღირსი ხართ ჯეროვანი პატივისა...

ამ დროს კარები გაიღო და სამოთხეში ფრთიანი სამოთხელი შემოსრიალდა. უნდა მოგახსენოთ, რომ დანარჩენებს ფრთები არა ჰქონიათ. კარის მსახურმა საჩქაროთ მოიხსნა საფრენი და იქვე კედელზე ჩამოკიდა.

— აი გაბრიელიც მოვიდა! ამან უკეთ იცის თქვენი ამბავი და ერთათ მოვილაპარაკოთ, დაუმატა მიხეილმა.

გაბრიელი სავარძელში ჩაჯდა და ერთი მკვახეთ ჩაახველა. მეც მოკრძალებით შორი-ახლოს მოვუჯდე, რომ ყოველივე იმისი სიტყვა რიგიანათ გამეგონა და გამეგო.

— აბა რას გვეტყვი ახალს ხალხის მოციქულო? როგორ მიდის ქვეყნათ ჩაგრულთა ცხოვრება, როგორ იტანს ხალხი თავისს უზომო გასაჭირს და რა საშვალებით ფიქრობს თავის დახწევას ამ ულლისაგან?

გაბრიელმა კვლავ ჩაახველა და დაიწყო.

— ხალხი უვიცია, კნიაზ, უვიცი! იმათი ფიქრით გაჭირვებას თავდადებული, უიმედო ბრძოლა მოსპობს და სხვა ვერაფერი. მათი ბელადები, ვერ მიმხდარან ნამდვილ საშვალებას, უეჭველ ხერხს გამარჯვებისას. ვერ მიმხდარან და არც უნდათ მიიხვდინონ. ჩემი ცდა ამაოთ იკარგება; ის არის „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, რადგანაც ჩვენი ერი, ქართველი ერი არის უდაბნო, ბნელი უდაბნო. მათ არა სჯერათ, რომ ეროვნული სიამაყე, ეროვნული ამპარტავნობა, ეროვნული თავ-მომწონეობა ერის რიცხვზე, ერის სიმრავლეზე არის დამოკიდებული და სასაცილოთაც არ ყოფნით ჩემი ღაღადი: „გამრავლდით აღორძინდით ქართველნო და ფლობდეთ ქვეყანასა“. ისინი მიკიჟინებენ, როდესაც „გამრავლებას“, ადამიანთა გამრავლებას ეროვნულ მოღვაწეობათა ვთვლი, ოჰ უგუნურებავ! ოჰ უმეცრებავ!..

მათ სიცილათ არა ყოფნით, ჩემი მეგობრული რჩევა: ხელი შეუწყონ ჩვენ ეროვნულ მცარცველობის განვითარებას. მათ ვერ გაუგიათ, რომ ჩვენთვის, ჩვენი ერის კეთილდღეობისათვის, უფრო სასარგებლოა ეროვნული მგელი, ვიდრე უცხო ტომის კრავი. რა ვქნა, კნიაზ, რა გავახერხო!ირგვლივ უმეცრებასა და სიბნელეს ვხედავ!

როდესაც გაბრიელი ეროვნულ მცარცველების საჭიროებაზე ლაპარაკობდა, მთავარ ანგელოზის ტუჩებზე ღიმილის ქარი შევნიშნე და ვიგრძენ, რომ გულში ჩაილაპარაკა: „აი შენ კი გენაცვალე ჩემო კარგო! .

— თქვენ ვინა გნებავთ ყმაწვილო? მომიბრუნდა გაბრიელი და მკითხა: იქნებ ჩვენთან სამსახური გსურთ?.. აქ ხომ ხედავთ რა თავისუფლება არის!? ეს სამოთხეა. გვითხარი რის გაკეთება შეგიძლია?!

— უკაცრავათ, ბატონო ჩემო, მე აქ „სიტყვას“ ვეძებ და მხოლოთ იმიტომ შეგაწუხეთ. თორემ სამსახური სამოთხის შესაფერი სად მომეხერხება?!

— რა სიტყვა არის? ვერ გამიგია! აქ რა სიტყვას უნდა ეძებდეთ. თქვენ ცდებით!

— არა, მოწყალეო ხელმწიფევ, მე არ ვცდები. მე კვალ და კვალ მოვსდიე აქ ბ-ნ „სიტყვას“, რომელიც ჩემს მბრძანებელს უნდა მივგვარო. უმორჩილესათ გთხოვთ მოძებნოთ და მაჩვენოთ.

— თქვენ, ყმაწვილო კაცო, უთუოთ ცდებით! ალერსიანი კილოთი წარმოთქვა მთავარ ანგელოზმა და ტკბილათ გაიღიმა.—განა ვერა ხედავთ აქ არის ვინმე თუ არა. მადლობა ღმერთს, სინათლე არ გვაკლია!.. მაგრამ ისიც კი უნდა გითხრათ, რომ სამოთხე მარტო ეს ოთახი როდი არის! აი ამ კარებიდან მეორე სამოთხეში მიხვალთ, აქედან მესამეში, აქედან მეოთხეში. თანაც კარებს მიჩვენებდა. გაბრიელი კი ჩუმათ იჯდა და მკვახეთ ახველებდა.

— ჩანს სიტყვას აქ გზათ გამოუვლია, თორემ აქ რო ეყოს ყველანი შევნიშნავდით, დაუმატა მიხეილმა.

— ბოდიშს ვიხდი ბატონო, მაგრამ „სიტყვამ“ თითონვე თქვა, რომ ის უჩინარია, რომ იმას ვერ დაიჭირავს ვერავითარი ძალა, ვერავითარი სიმაგრე, რომ ის ყველაფერს დაანგრევს და გააქრობს, რომ მისთვის არ არსებობს არავითარი ციხე და ბორკილი. შეიძლება სადმე აქ თქვენთან იმალებოდეს და ჩვენ კი ვერ ვამჩნევდეთ.

— მაშ რითი უნდა დავეხმაროთ, რის გაკეთება შეგვიძლია ჩვენ? დამეკითხა გაბრიელ-ანგელოზი.

— თქვენი დახმარება არ მჭირია და თუ ნებას მომცემთ მე ვიხმარ ხერხს, რომლის საშვალებითაც იმედი მაქვს მიზანს მივახწევ.

— აბა, აბა! საინტერესოც არის რა საშვალებით განახორციელებთ ცალიერ სიტყვას, თუნდაც აქ იმალებოდეს.

— მაშ ჩუმათ!..

მე ამოვიღე „ცნობის-ფურცლის“ მე 2727 ნომერი და ხმა მაღლა დავიწყე კითხვა:

„გვეყო!.. მოვიდა დრო ანგარიშის,
მოდი, გავსწორდეთ, ნუ გვემალები,
წარვიდენ დრონი შენი უფლების;
დროა დაბნელდეს შენი თვალები!..

— შეჩერდი, შეჩერდი! სამი წერტილი, სამი წერტილი, სამი წერტილი! მოისმა ხმა; ოთახში ატირებული სიტყვა შემოვარდა.

— რასა შვები ყმაწვილო, უგუნურო ყმაწვილო! მე განა ტყვილათ დავსვი იქ სამი წერტილი, ეს მწარე წერტილი!!! ოხ ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რამდენი ცრემლი, რამდენი ცრემლი, რამდენი ცრემლი! ოხ ღმერთო ჩემო! რამდენი მწუხარება, რამდენი ტანჯვა, რამდენი ცრემლი! რამდენი მწარე ცრემლი არის გამოხატული ამ სამ წერტილში! ოხ ნეტარი დრო, ნეტარი მომავალი, როდესაც აღარ იქნება საჭირო წერტილი, მწარე წერტილი! ცრემლით წავრღვნიდი მთელ ქვეყანას; ცრემლით დავახშობდი მსმენელთა ყურებს, ცრემლით დავალბობდი თვით დედა-მიწის გულს! მაგრამ წერტილი, მწარე წერტილი, სამი წერტილი!

მთავარ-ანგელოზი გულჩვილი გამოდგა. წამწამზე ორი მარგალიტი ცრემლი ჩამოეკიდა: სწორეთ ისეთი ბჭყვრიალა და მოელვარე, რომლებიც საათის ძეწკვზე და მარცხენა ხელის ბეჭდებზე უთამაშებდა.

— კარგი, გეყოფა შვილო, გეყოფა; განა ცრემლით რაიმე კეთდება? კარგი გენაცვალე ამდენი ტირილი და მოთქმა გაგონილა! არა ჩემო კეთილო, სირცხვილია, გაგამტყუნებენ: ამოტელა ბავშვი სულ მოთქვამს და მოთქვამსო. ცრემლით არაფერი გარიგდება შვილო, ნაყოფი მხოლოთ საქმეს მოაქვს, მხოლოთ საქმეს. მე მაინც მომწონს შენი გულ-ჩვილობა და უმანკოება. იმედია შენგან კარგი კაცი დადგება და სამოთხის საფარებელს მოიპოებო. მე ჩავძვერი შენს სულში და იქ იგივე დავინახე რაც ჩვენს სამოთხეში: სიტყვა, სიტყვა და სიტყვა! ჩვენც ასე ვართ, აი თუნდა გაბრიელსა კითხე, ენაზე მუდამ გაჭირვებული ხალხი გვაკერია, თვალებზე მუდამ ცრემლი დაგვდის მათი ტანჯვის გამგონეს, მაგრამ საქმეს კი ვერიდებით. საქმით ჩვენს თავს ვემსახურებით. ჩვენ გვესმის რომ ცბიერი ტკბილი სიტყვა და მდუღარე ცრემლები ბორკილზე უფრო აფერხებენ ადამიანთა მსვლელობას სამოთხის გზაზე. ჩვენი სურვილი მხოლოთ ის არის, რომ სამოთხე ჩვენ შეგვრჩეს და საზოგადო დაწესებულებათ არ გადაიქცესო.

მთავარ—ანგელოზი შეჩერდა და ეჭვის თვალით შემომხედა. შემატყო, რო რაღაც სიამოვნებასა ვგრძნობდი.

— ასე ჩემო კეთილო! სამოთხეში ყველასთვის ადგილი არ არის. ამიტომაც ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ ხალხს გზა კეთილი დაუბნიოთ და ებრაელთა მგზავრობასავით ვატრიალოთ სამოთხესა და ჯოჯოხეთს შუა. ხალხსა გონია, რომ სამოთხეს მარხულობითა და მოთმინებით მოიპოებს. დეე ეგონოს! ჩვენც კვერი დავკრათ და დავარწმუნოთ. შენ შესაფერი სახელი დაგითქვამს „სიტყვა“. მე მომწონს ესა. ჩვენც სიტყვა გვინდა და არა საქმე. ილაპარაკე რაზედაც გინდა, მაგრამ საქმეს ერიდე! დაასვი რამდენი წერტილიც

გინდა, ცრემლიც დაღვარე, ხოლო ხელს ნუ გაანძრევ და თუ გაანძრიო, ისიც კვალის ასაბნევათ და ხალხის შესაფერებლათ. ახლა კი დაჩუმდი, გეყოფა ამდენი მოთქმა!

სიტყვა დაჩუმდა. ცრემლით დასველებული ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიდვა და იქვე სავარძელში ჩაჯდა. „გაბრიელ-ანგელოზმა“ ერთი—ორი კიდევ ჩაახველა, მოისხა ფრთა და სადღაც გაქრა. მე სიტყვას მიუახლოვდი, მხარზე ხელი დავადევ და ვუთხარი:

— ყოველის შემძლე ტარტაროზის სახელით გატყვევებ მე თქვენ ბ-ნო „სიტყვავ!“

მხრებზე ჩამოდებულმა თითებმა იგრძნეს, თუ რა ჟრუანტელმა დაუარა ტანში „უძლეველ“ სიტყვას. სახე გაფითრდა და თვალებზე ცრემლი მოეგუბა. „მთავარ—ანგელოზსაც“ ფერი ეცვალა და კინაღამ გული შეუწუხდა. ორივენი სახტათ დარჩენ, როცა მათ წინ ჩემი შავი კუდითა და გრძელი წვეტიანი რქებით გამოვეჩიმე.

ორივე შემებრალა. ვიგრძენ მათი გულის მღელვარება, მათი აუტანელი წუხილი და ტანჯვა.

— ნუ გეშინიათ ბ-ნო ანგელოზო! მე ფრიად მასიამოვნა თქვენმა სამოთხემ როგორც ადამიანებს, მეც შემცდარი აზრი მქონდა სამოთხის შესახებ და მადლობა ღმერთს ახლა ნათლათ მიდგას თვალ-წინ ყოველი მისი სიავკარგე. ჩვენ ეშმაკებმა ვიცოდით, რომ სამოთხე ერთგვარი ციხე იყო, რომელსაც შიგ მყოფნი გასაოცარი სიმამაცით ამაგრებდენ. ადამიანთა გულ უბრყვილობაც კარგათ გვესმოდა, რადგან ისინი ციხის აღებას მარხულობითა და მოთმინებით აპირებდენ. მაგრამ ვიცით ისიც, რომ ხალხი დღეს სულ სხვაფერ ფიქრობს და დიდი ვაჟკაცობა გინდათ, რომ კვლავ დააშინოთ.

თქვენ ბ-ნო სიტყვავ! რიგიანათ გესმით სამოთხელების ჰანგები: სიტყვა, სიტყვა, სიტყვა. ცრემლი, ცრემლი და ცრემლი! თქვენ ყოველთვინ წერტილებს სვამთ იქ, სადაც ნამდვილი სიტყვა უნდა დაიწეროს და გარბიხართ იქიდან, სადაც საქმე და ბრძოლაა საჭირო. ადამიანთა გული და აზრი ჩემთვის ისე ცხადია, ისე ნათელია, რომ ყოველი იმისი მოძრაობა თვალწინ მეხატება;.. მაშ რის ეშმაკი ვარ თუ ესეც აღარ შემეძლება! დიახ მე ვიცი სამი წერტილის დანიშნულება და ვიცი შეუშრობელი ცრემლის მიზეზი! ტყუილია, თქვენი ცრემლი ვერ წალეკავს ქვეყანას; ვერ გადარეცხს დედა-მიწის ზურგიდან გამეფებულ უსამართლობას, ვერ დაანგრევს იმ მაგარ მკვიდრს, რომელიც სამოთხეს გარს არტყია. მაშ რისთვის მოთქვამთ და ჰგოდებთ ასე განუწყვეტლივ! იმისთვის რომ გინდათ სამოთხის სავარძელი გამოიყიდოთ.

მე, როგორც ჯოჯოხეთის წარმომადგენელი, დიდ მადლობას გიცხადებ ორივეს. მე დავრწმუნდი, რომ სამოთხე და ჯოჯოხეთი ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება: ჯოჯოხეთი ეშმაკებს, სამოთხე ანგელოზებს. ხალხმა კი შვაზე იტრიალოს და დეე თითონ გაიკაფოს გზა. მაშ გაუმარჯოს ეშმაკებისა და ანგელოზების კავშირს, მათ საერთო საქმეს. მე მივქრივარ ჩემ მბრძანებელთან, რომ გამოვუცხადო სასიხარულო ამბავი ანგელოზთა შეერთებისა.

დავკარი სტოლს კუდი და თვალიდან მივიფარე. ადამიანებს ჯერაც გონიათ სამოთხე ჩვენთვის არისო. ეეეხ, უმეცრებავ!

ეშმაკი.

ქუთათურის შენიშვნები.

I.

სიხარულით ვიღებ, ჩვენო მკითველო, კალამს ხელში და სიამოვნებით ვიწყებ შენთან საუბარს. წრფელი გულით მოგილოცავ ახალი ცხოვრების განახლებულ ორგანოთი შეხვედრას. დღეს მოხდენილ დროს გვიხდება ერთმანეთთან საუბრის გაგძობა. უკვე საკმაოთ გაკვალული ჩვენი „ყმარა“ ნიადაგის ბილიკებზე სასიარულოთ დღეს სწორეთ მოგზაურებია საჭირო, რათა ოფლითა და სისხლის ღვრით ნიადაგის გამოხიერებლებს თანაგრძნობა-თანამოაზრეობის ხმასთან ერთათ საამდროვო სწავლა-განათლებაც შევძინოთ, რომ მითი შეიარაღებულმა მედგრათ და შეგნებულათ ებრძოლოს დღევანდელ სულის შემხუთველ პირობებს... მაშ გამარჯვების იყოს, მკითხველო, ჩვენი ამ მგზავრობაში შეხვედრა... კარგათ ვიცი რა პესიმისტიური (უიმედო) აზრისა ხარ ჩვენ „სავარდო და სამაისო“ ქუთაისზე: იგი პატრიარქალურ ცხოვრების ქალაქათ მიგაჩნია, სადაც „მოდურ“ კულტურას უფრო მისდევენ. შენზე ნაკლებ პესიმისტიური შეხედულებისა მეც არ ვარ ჩვენ „კურთხეულ“ ქუთაისზე, მარა დღეს ამგვარ ჩვენ შეხედულებას ფრთები ეკვეცება და ახლანდელი დროის შესეფერი ამბები და მოვლენები ნიადაგს იმზადებენ და რუსები რომ იტყვაან „проблески свѣта“-ო აქაურ მოდუნებულ ცხოვრებაშიაც აშუქებს და ამრიგათ „გაზაფხულის“ მოლოდინს ბანს აძლევს...

არა ჯერათ ამ „проблеск“-ების მხოლოთ ძველ ჯიუტებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ეს მობერილი სიოა, ახალგაზდების შექმნილი ამბებია და იგი მალე ჩაქრება, აღიგვეგბაო. არ ჯერათ-ძველი ბურჯების მოადგილეთ დასახულთ ზოგიერთ ახალგაზდა დიპლომოსან ინტელიგენტებსაც და აი ესეც საბუთი. მიმბაძველობაში ჩვენ ხომ ვერავინ გვაჯობებს და აქაურებმაც, თუმცა გვიან, მოინდომეს რუსეთის საზოგადოების ხმის ბანის მიცემა. ამის სისრულეში მოსაყვანათ თათბირი გაიმართა და აღნიშნეს ის მოთხოვნილებანი, რომელნიც დღეს დღეობით საჭიროთ მიიჩნიეს, რათა დამყარდეს ჩვენში „მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

ხსენებულ თათბირზე ერთნი ამტკიცებდენ, რომ კერძო, ჩვენი ეროვნული მოთხოვნილებებით დიწერილი ქაღალდის გაგზავნა დღეს უადგილოა და საზოგადო მოთხოვნილებების ხელის შემშლელი იქნება. თუ დღეს ქაღალდების გაგზავნას რაიმე აზრი აქვს, ისევ საზოგადო მოთხოვნილების ქაღალდი უნდა გაიგზავნოს და სრულიად შევუერთდეთ რუსეთის საზოგადოების საუკეთესო ნაწილის საერთო მოთხოვნილებებს და არა ყოველმა ერმა თავიანთ ადგილობრივ საჭიროებაზე ილაპარაკოს ამ გარდამავალ ხანაში. ამასთან დღეს „докладъ“-ებისა და „записк“-ების დრო როდია, პირდაპირ მოქმედებაა საჭირო, ამტკიცებდნენ ისინი, ვინც ცხოვრებასთან უფრო ახლოა დგანან. მაგრამ კაბინეტურ ქაღალდების წერის მოყვარულებმა გაჯავრებული მედიდურობით უპასუხეს, რომ ჩვენ ქაღალდების საშვალებით უფრო გვეადვილება მოქმედებაო და ამიტომ გთხოვთ ყველაფერში წინ ნუ გვეღობებით, ხელს ნუ გვიშლითო.

რასაკვირველია, მემარცხნეობა არავის არსად დაფნის გვირგვინებს არ უქადის და ქუთაისში მით უფრო. რა ხთება ყველგან და მათ შორის ქუთაისშიც, ვინ ვის ეღობება წინ და ვინაა საამდროვო მოქმედების ხელის შემშლელი, თუ პასიური (უმოქმედო) გარეშე-მაყურებელი,—ამას ცხოვრებაში ყველანი კარგათ ხედვენ და მომავალი კიდე უფრო დაანახვებს ყველას. მხოლოთ, საუბედუროთ, ამაებზე აქ ლაპარაკი შეუძლებელია და თუ ამაზე გაკვრით სიტყვა ჩამოვაგდე, მაინც კიდე მინდოდა ამენიშნა, რომ ქუთათურ ინტელიგენციის ცხოვრებაშიაც, თუმცა გვიან, მაგრამ რაღაც პროტესტების, კრიტიკის სიომ შეაშუქა და ესეც სასიამოვნო მოვლენა უნდა ჩაითვალოს.

ღირსია აგრეთვე აღნიშვნის ქუთათურ ექიმების ცხოვრებაში მომხდარი უკანასკნელი ამბები. მკითხველს, რასაკვირველია, გაეგონება, რომ ქუთაისში 10-15 წლის წინეთ ოთხი

ან ხუთი ექიმის და ვექილის სახელი ისმოდა. დღეს ვექილების არ იყოს, ექიმებიც მომრავლდა, მათი რიცხვი სოკოსავით იზდება.

აი ამ ექიმთა ჯგუფს, რომელიც წარსულ საანგარიშო წელს 36 პირისაგან ყოფილა შემდგარი, აგერ მე-12 წელიწადია დაუწესებია აქ ექიმთა სხზოგადოება, რომლის არსებობა აქ თითქმის აქამდე არავინ იცოდა და ასე წარმოიდგინეთ არც თვით საზოგადოების წევრები ცდილან, რომ თავიანთი თავი საზოგადოებისათვის გაეცნოთ. მაგრამ ამას ახლა თავი დავანებოთ და მკითხველის ყურადღებას მივაქცევ ხსენებული საზოგადოების ერთ კრებას, რომელიც მოხდა გასული წლის 16 დეკემბერს. ეს კრება სამ ნაირათ არის საინტერესო: 1) ამ კრების საშვალებით ქუთაისში ექიმთა საზოგადოების არსებობა ეუწყა ქვეყანას; 2) კრებაზე წაკითხულ იქმნა საინტერესო მოხსენება ექიმ ქორქაშვილის მიერ ამ სათაურით. „Къ вопросу о комплектованіи войскъ, расположенныхъ внѣ Кавказа, уроженцами Кутаис. Губ“.*) 3) დეკემბრის კრებაზე თავი იჩინა ბიუროკრატიულმა თვითნებობამაც რომელიც დღევანდელ ცხოვრებაში ერთ უდიდეს ძალას წარმოადგენს.

საქმე ის იყო, რომ კრების თავმჯდომარე საგუბერნიო ექიმ სერგეენკოს რაღაც იდუმალი მოსაზრებით არ მოეწონა ქორქაშვილის მოხსენების როგორც შინაარსი, ისე მისი მიმართულება და მიუხედავათ იმისა, რომ ყველა დამსწრე წევრებმა მისი დასკვნები დაადასტურეს,—ეს მოხელე ექიმი მაინც აუხირდა მომხსენებელს და რამდენჯერმე შეეკითხა: „რა მიზანი გქონდა, რომ ასეთი ტენდენციური მოხსენება წაიკითხეთ. ის პრაქტიკული ზომები, რომლებიც თქვენ გინდათ მიიღოთ ამ მოხსენების შესახებ, მე არ მწამს და ჩემი თავმჯდომარეობით არავითარ შუამდგომლობას ამის შესახებ არ გადაგაწყვეტინებთო. თქვა ეს ექიმთა ბიუროკრატმა, წაავლო ქუდსა და პალტოს ხელი და განაცხადა: დღეიდან მე თქვენი თავმჯდომარეობა აღარ მსურს და რაც გინდათ ის დაადგინეთო, და გაეშურა შინისაკენ. ამრიგათ დატოვა საზოგადოება პირდაღებული. მაგრამ შეურაცყოფილი ექიმები არც ასე ადვილათ ათავისუფლებენ თავხედ და უზრდელ კოლეგას. აღნიშნულ ინციდენტის გარჩევას შემდეგ კრებაში აპირებენ, როცა, ალბათ არა თუ გარეშეებს, კორესპონდენტებსაც არ დაასწრებენ, აქაო და ეს პროფესიონალური საკითხიაო.

რაც შეეხება ექიმ ქორქაშვილის მოხსენებას, იმის შესახებ თავდაპირველათ განზრახული ზომები მაინც მიიღეს და 18 იანვრის ხელმეორე კრებაზე სიმონ ხეჩინოვის თავმჯდომარეობით დაადგინეს, რომ გადაეცეს ქალაქის გამგეობას საბჭოში მოსახსენებლათ და თავადაზნაურობის კრებას, რომ იმათი დასკვნებით შუამდგომლობა წარედგინოს უმაღლეს მთავრობას.

ისო.

საზოგადოებრივ-ისტორიული წერილები.

(რუსულიდან თარგ. ლ. ელიავასი)

I.

საზოგადოებრივობა ძველ დროში.

ამბობენ, ძველ დროში არსებობდა ეგრეთ წოდებული „პირდაპირი, ანუ უშუამავლო სახალხო კანონმდებლობაო“. ასეთი შეხედულების მომხრენი გვითითებენ კეისარისა და ტაციტის მიერ აღწერილ გერმანელთა ცხოვრებაზე, და გვისურათებენ იმ თავისუფალ და ბედნიერ საზოგადოებრივ წყობილებას, როგორიც ვითომდა არსებობდა, სანამ ძალმომრეობამ და კაცთა ვერაგობამ არ მოსპო პირდაპირი სახალხო კანონმდებლობა.

შევჩერდეთ ჩვენც ამ ხანაზე, განვიხილოთ სახალხო კანონმდებლობის ძირითადი კანონები და მისი მოსპობის მიზეზები და მით ზოგიერთ იმ გარემოებებსაც მოვფენთ ნათელს, რომელთაც მნიშვნელობა აქვს თანამედროვე მოძრაობისათვის, რომელიც სახალხო კანონმდებლობისათვის იბრძვის.

ტაციტის დროის გერმანელებში, ისევე როგორც განვითარების ამგვარსავე საფეხურზე მდგომ სხვა ხალხში, ნამდვილი სახალხო კანონმდებლობის ნასახიც არ არის. საქმე ის არის, რომ განვითარების ამ საფეხურზე კანონები სრულიადაც არ არსებობს. ძველ გერმანელთა სახალხო კრებების მოქმედებას ძალიან ცოტა საერთო აქვს იმასთან, რასაც დღეს კანონმდებლობა ეწოდება: თემის თავისუფალ მხედართა კრება, აი რა იყო თემის საქმეების განმხილველი უმაღლესი დაწესებულება; იგი ირჩევდა თანამდეზობის პირებს, ასამართლებდა დამნაშავეთ, წყვეტდა თემის წევრთა შორის ატეხილ უთანხმოებას, აწესრიგებდა სხვა ტომებთან დამოკიდებულებას და სხ. და სხ. რადგან საზოგადოებრივი ურთიერთობა საუკუნოებით არ იცვლებოდა, ამიტომ თემის განსახილველი საქმე ერთგვარი იყო. ამის გამო კითხვების გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვეულებებს და მოხუცებს, რომელთაც ახსოვდათ ეს ჩვეულებები.

როგორც მთელი თემის საქმეებისათვის უმაღლეს ინსტანციას (დაწესებულებას) სათემო კრება შეადგენს, ისე თემის რომელიმე ნაწილის უმაღლესი ინსტანცია არის მისივე მხედართა კრება.

კიდევ უფრო ადრინდელი განვითარების საფეხური ავიღოთ, თუნდ ის, რომელზედაც იდგენ ჩრდილო-ამერიკის ინდოელები, როცა ამერიკა აღმოაჩინეს. აქ კიდევ უფრო დემოკრატიულ წესებს ვიპოვით; აქ დედაკაცებსაც კი აქვს ადგილი სახალხო კრებებში. ამგვარათ არა თუ კეისარის, არამედ ტაციტის დროის გერმანელებსაც ინდოელებთან შედარებით მცნება „ხალხი“ უფრო ვიწროთ ესმით: იქ სახალხო კრებას შეადგენენ მარტო მამაკაცები და ისიც ყველა კი არა, რადგან ზოგიერთები პოლიტიკურ უფლებებს მოკლებული არიან.

რით აიხსნება, რომ „ხალხისგან“ დედაკაცები გამოირიცხა? ამ კითხვის ჩვეულებრივი პასუხი ის ძალმომრეობაა, რომლითაც უყვართ ერთი კლასისგან მეორესი დამონების მიზეზების ახსნა. ამბობენ, მამაკაცებმა, როგორც უფრო ძლიერებმა, დაიმონეს დედაკაცებიო. ბევრი ამ მოძღვრებას დარვინის მოძღვრების შედეგათ თვლის. თუ ინდივიდთა ძალის და ნიჭის უთანასწორობა ყოველთვის იყო და იქნება, ამბობენ ისინი, მაშ საზოგადოებრივი უთანასწორობის საფუძველი თვით ბუნებაში ყოფილა, საუკუნოთ უნდა დარჩეს და ცვლილება კი შეიძლება მიეცეს მხოლოთ გარეგნობას. მაგრამ როცა ამ ძალმომრეობის მოძღვრებას ასეთ დასკვნამდი მივყავართ, გაუგებარია, რისთვის მიიღეს იგი ასეთი სიამოვნებით კლასიური განსხვავების მოწინააღმდეგეებმა. ძალმომრეობის თეორია არა თუ არაფერს სანუგეშოს არ წარმოადგენს, ვერაფერსაც ვერ განმარტავს. თუ ამ მოძღვრებიდან შესაძლებელია ის დასკვნა გამოვიდეს, რომ კლასიურ უთანასწორობას თვით ბუნებაში აქვს საფუძველი და ის საუკუნოა, მაშინ ისიც უნდა მივიღოთ, რომ ეს უთანასწორობა დასაბამითვე არსებობდა, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს სიმართლეს მოკლებულია. ჩვენ ვიცით, რომ პირველი ხანების თანასწორობა ნელ-ნელა, თანდათანობით უთმობდა ადგილს უთანასწორო-

---

*) ქორქაშვილის მიერ ექიმთა საზოგადოებაში აღძრული საკითხი, როგორც თანადროულ ჭირ-ვარამის გამომხატველი, ჩვენც საინტერესოთ მიგვაჩნია მკითხველებისათვის და ამიტომ მას ცალკე წერილში გავაცნობთ.

ავტორი.

ბას და ყოველი ასეთი ნაბიჯი თანდაყობოდა განვითარების ყოველ საფეხურს. ყოველთვის ყოფილა და იქნება ძლიერი და სუსტი, ნიჭიერი და უნიჭო, მარა ეს ჩვენ სრულიადაც ვერ გაგვაგებინებს, თუ რათ აღეძრათ ვითომ-და ძლიერ და ჭკვიან კაცებს კულტურულ განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე სუსტთა და უნიჭოთა დამონების სურვილი და რატომ შეიქნა ეს შესაძლებელი სწორეთ განვითარების ამ საფეხურზე და არა ადრე ანუ გვიან? ამის ახსნა უნდა ვეძიოთ კულტურულ განვითარების თვისებებში და არა „ადამიანის ბუნებაში“. მხოლოთ ეს თვისებები და არა ძალმომრეობის თეორია არის ამხსნელი აღნიშნული დროის კლასობრივი განსხვავებისა. თითოეული კულტურული განვითარების საფეხურის განმასხვავებელი თვისებების საფუძველი მის წარმოების წესშია. ამ წარმოების წესით აიხსნება სხვადასხვა კლასების საზოგადოებრივი მნიშვნელობა, ხოლო საზოგადოებრივი მნიშვნელობა ყველა კლასისა განსაზღვრავს იმ როლს, რომელსაც იგი ასრულებს საზოგადოებაში.

პირველათ შრომის განაწილება, როგორც ისტორია მოგვითხრობს, დედაკაცსა და მამაკაცს შორის მომხდარა. ხალხთა ველურ მდგომარეობის უმაღლეს საფეხურზე, როცა ოჯახური ცხოვრების განვითარება დაიწყო, მისი გამგებლობა წილათ ხვდა დედაკაცს, გარეშე საქმეები კი თანდათან მამაკაცების ხელში გადადიოდა. რა პირობებმა გამოიწვია ეს, ამის შესახებ ჩვენ მხოლოთ ვარაუდი შეგვიძლია.

ბარბაროსობის ხანაში უმთავრესათ საოჯახო სამუშაოს ტეხნიკა უმჯობესდებოდა, ამიტომაც იყო, რომ დედაკაცთა შრომის ასპარეზი მეტათ გაფართოვდა: ის უვლიდა საქონელს, ამუშავებდა მიწას, უმი მასალის უმეტეს ნაწილს, ქსოვდა, წნავდა, თიხის ჭურჭლეულობას აკეთებდა და სხვ. და სხვ. ბევრ ხალხში მამაკაცები ისეთ ძნელ საქმესაც კი, როგორც ქოხის აშენებაა, დედაკაცებს ახვევდენ თავზე.

მამაკაცის სამუშაო კი ბარბაროსობის ხანაში ან ძალიან ცოტას, ან სრულიადაც არ მატულობს. მამაკაცი წინანდებურათ მხედარი და მონადირეა; მხოლოთ იქ კი, სადაც საქონლის მოშენება ვითარდება, მის მოვლაში მამაკაცებიც იღებდენ მონაწილეობას, მარა ეს უმეტეს ნაწილათ ის ახალგაზდები, რომელთაც მეომრის წლოვანებამდის არ მიუწვევიათ. გასაკვირვალი არ არის, რომ მამაკაცზე მეტ შრომას დედაკაცი ეწევა. მას იმდენი საქმე აქვს, რომ სრულიად დრო ღარა რჩება მონაწილეობა მიიღოს საზოგადო ცხოვრებაში, ოჯახის დატოვება დიდი ხნით არ შეუძლია, რადგან ის მთელი დღეობით და საათობით საჭიროა ოჯახისთვის. აი ამისაგან წარმოდგა, რომ დედაკაცი ნელ-ნელა ქრება საზოგადო ცხოვრების სარბიელიდან ბარბაროსობის ხანაში; პირველათ ის მამაკაც-წარმომადგენელის საშვალებით ღებულობს მონაწილეობას და ბოლოს სრულიადაც არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს.

სულ სხვაა მამაკაცის საქმე, მისი ოჯახში ყოფნა მიუცილებელი არ არის, შეუძლია მთელი დღეობით და კვირეებით მიატოვოს ოჯახი, რადგან ამით ოჯახს სრულიად არაფერი არ დააკლდება. განვითარების ამ საფეხურზეც მამაკაცს შეუძლია მთელი თავისი დრო საზოგადოებრივ ცხოვრებას მოახმაროს, ისევე, როგორც ველურობის დროს, თუ კი არსებობდა იმ დროს რამე საზოგადოებრივი ცხოვრება. ახლა მამაკაცს წინანდელზე მეტი დროცა აქვს, რადგან დედაკაცის შრომის სარბიელი გაფართოვდა და ამას გარდა განვითარების მაღალ საფეხურზე დედაკაცს თანაშემწეთ მონებიც გაუჩნდა. ამგვარათ ჩვენ აქ ვპოულობთ მამაკაცების გადემოკრატებულ ცხოვრებას, იმართება მრავალი სხვადასხვა კრებები, რომელიც რამოდენიმე დღეც გრძელდება, ამ კრებებზე ნადიმებიც იმართება, თან ხალხი მსჯელობს და წყვეტს ყოველგვარ საქმეებს.

რამდენათ მამაკაცი ოჯახს შორდებოდა, ამდენათ უფრო ფართოვდებოდა საზოგადოებრივი ცხოვრება და არც დემოკრატიული ხასიათი ეკარგებოდა. წარმოების წესის აღმატებამ შესაძლებელი გახადა ერთსა და იმავე მიწის სივრცეს ეხლა წინანდელზე მეტი ხალხი გამოეკვება (ესაზრდოვებია). სუსტდება მამაკაცის ოჯახთან დამოკიდებულება, ამით მამაკაცს დრო ეძლევა შორს წავიდეს და სხვადასხვა სახალხო კრებებში მონაწილეობა მიიღოს.

ეს გარემოება ბარბაროსობის დროს ტომებს იმდენათ აახლოვებდა, რომ ბოლოს რამდენიმე ტომთა ერთ ხალხათ შეერთება მოყვა; აქაც, როგორც თემში, სახალხო კრებაა საზოგადო საქმეების გამრჩევი უმაღლესი დაწესებულება.

(შემდეგი იქნება).

ბ-ნ გოგიჩაიშვილის საპოლემიკო ნიმუშები.

(დასასრული.—იხ. „მოგზაური“ № 2).

ამნაირათ კარლ კაუტსკი „საერთო ნიადაგის“ მომხრე ყოფილა და ჰარმონიული თეორიაც კი მიუღია ამ ბოლო დროს რაოდენიმეთ. როგორ მოხდა ეს? სულ უბრალოთ, ჩემო მკითხველო: ბ. გოგიჩაიშვილმა ცილი დასწამა კაუტსკის, დაამახინჯა მისი სიტყვები და სწორეთ ის ათქმევინა, რაც თვითონ ბ. გოგიჩაშვილს ესაჭიროებოდა. ჩემს წინ დევს კაუტსკის წიგნის ის ადგილი, რომელიც ბ. გოგიჩაიშვილმა მოიყვანა და მე სიტყვა-სიტყვით ვთარგმნი. კაუტსკი ამბობს: „... კაპიტალისტური საზოგადოება, როგორც ყოველი სხვა, გაერთიანებული ორგანიზმია, რომელშიაც ერთი რომელიმე ნეწილის დაზიანება უმნიშვნელოთ არ ჩაივლის სხვა ნაწილებისათვის. ეს გარემოება სრულიადაც არ სპობს კლასთა წინაამღდეგობას... წინაამღდეგობა, რომელიც არსებობს, ერთი მხრით, სხვა-და-სხვა კლასთა ინტერესების ჰარმონიასა (ასეთი ჰარმონია რაოდენიმეთ უეჭველათ არსებობს) და კლასთა ინტერესების მთავარ ანტაგონიზმს შორის მხოლოთ იმას ამტკიცებს, რომ კაპიტალისტური საზოგადოება მეტათ უვარგისი ორგანიზმია, რომ მრავალი ძალა და სახსარი უნდა �ხარჯოს მან თავისი დანიშნულების შესასრულებლათ. კლასთა ურთიერთ დამოკიდებულებას განსაზღვრავს და კაპიტალისტური საზოგადოების გამძლავრებულ ძალათ უნდა ჩაითვალოს არა მათი ინტერესების არა-პირდაპირი ჰარმონია (ან და სულ მცირედათ), არამედ კლასთა წინააღმდეგობა. „ინტერესთა ანტაგონისმზე ხიდის გადებას ვერ მოახერხებს ვერც ხერხიანი, მხოლოთ უნიადაგო ქადაგი ინტერესთა ჰარმონიის შესახებ“ *) (კურსივი ყველგან ჩვენია). მკითხველმა მხედველობაში უნდა იქონიოს, რომ აქ კაუტსკი პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას ლაპარაკობს და სწორეთ ამათ შორისაც მხოლოთ რაოდენიმეთ პოვებს ინტერესთა ჰარმონიას, ისიც იმდენათ, რომ მამოძრავებელ ძალათ მხოლოთ და მარტო კლასთა ბრძოლა მიაჩნია. ბ. გოგიჩაიშვილს აუღია ამ ადგილის პირველი ფრაზა, მეორედან შუა ადგილი მიუწებებია, ხოლო ბოლო სულ გამოუტოვებია და გამოვიდა, რომ კაუტსკის აზრით მოპირდაპირე კლასებს „შეთანხმებული შრომა მოქმედებაც კი შეუძლიათ“. ნამდვილათ კაუტსკი სწორეთ ამის წინააღმდეგს ამტკიცებს. კაპიტალისტური საზოგადოების მამოძრავებულ ძალათ სწორეთ კლასთა ბრძოლა მიაჩნია, მხოლოთ სადაც ბრძოლაა, იქ შეთანხმებული მოქმედება შეუძლებელია, ის „უნიადაგო ქადაგს“ უწოდებს ინტერესთა ჰარმომიაზე ლაპარაკს, ე. ი. მო

*) იხ. კაუტსკის: „აგრარული კითხვა“ რუსული გამოცემა 1899 წ. გვ. 354—355.

წინააღმდეგე კლასების „საერთო ნიადაგი“, მათი „შეთანხმებული მოქმედება“ ოცნებათ მიაჩნია. ამნაირათ ბ. გოგიჩაიშვილმა მოინდომა განზრახ მკითხველის შეცდომაში შეყვანა, კაუტსკის შეხედულება ყალბათ გადასცა იმ მოსაზრებით, ალბათ, რომ მკითხველებს შემოწმების დრო და მოცალება არ ექნებათო. აი რამდენათ სანდოა ჩვენი დოქტორის პუბლიცისტობა; აი რა ურიგო საშუალებას ხმარობს ის თავის ყალბი აზრის დასასაბუთებლათ!..

ამ ჟამათ ავტორს წერილის ბოლომდე მაინც მივყვეთ; გავიცნოთ კიდევ მისი რაოდენიმე საპოლემიკო ნიმუშები, ამით შეიძლება ერთი რამ მაინც ვისწავლოთ: როგორ არ უნდა იწერებოდეს საპოლემიკო წერილები. ესეც ხომ სარგებლობა იქნება.

მაშ ისევ ბ. გოგიჩაშვილი ვალაპარაკოთ: „მგონი ეს ყველას გვაქვს დანახული,—წულუკიძისა და მის თანამოზიარეთა(?) გარდა, რასაკვირველია,—რომ თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრებაში ქართველის წილი, ვითარცა ნაწარმოებთა პატრონის და მოსარგებლისა ფრიად მცირე და უმნიშვნელოა. ჩვენს მხარეში არსებულ ვაჭრობა-მრეწველობას დღესაც სხვა და სხვა უცხო ხალხები პატრონ-ბატონებენ და არა ქართველები“.

„წულუკიძე, რომელსაც ზეპირათ ლაპარაკი უყვარს, ამას არ დაგვიჯერებს(?); მისი აზრით კაპიტალიზმის არსებობა საქართველოში იმას მოასწავებს, რომ ქართველებში კაპიტალისტები ბლომათ არიან და სახალხო მეურნეობასა და მოქალაქობრივს ცხოვრებას სათავეში უდგანან“. შემდეგ ავტორს მოყავს ზანგნის მაგალითი, რომლითაც უნდა დაგვაჯეროს რომ „შეიძლება ხალხი კაპიტალისტურათ ფრიად განვითარებულ ქვეყანაში ცხოვრობდეს, მაგრამ თვითონ მხოლოთ ლატაკებისაგან შესდგებოდეს და კაპიტალსა და კაპიტალისტებს სრულებით მოკლებული იყვეს.“ ვის ეკამათება ბ. გოგიჩაშვილი? არ ვიცით. რასაკვირველია, ჩვენ ქართველები ზანგებათ არაოდეს არ მიგვიჩნევია და ღრმათ დარწმუნებულიც ვართ, წინააღმდეგ ქართველი პატრიოტის რწმენისა, რომ ქართველები ბევრათ მაღლა დგანან კულტურულათ ზანგებზე და მეტი წილიც უდევთ ქვეყნის სიმდიდრეში, მხოლოთ არსად და არასოდეს არ გვიფიქამს „რომ ქ[illegible]ებში ბლომათ კაპიტალისტები არიან და სახალხო მეურნეობასა და მოქალაქობრივ ცხოვრებას სათავეში უდგანან“. მაშ რას ებრძვის ბ. გოგიჩაშვილი? ქარის წისქვილებს. დონ კიხოტიც ხშირათ ხომ ასეთ ბრძოლაში იჩენდა თავის გმირობას. მხოლოთ დონ კიხოტის საშუალო საუკუნოები ამართლებდა, ჩვენი გმირის საქციელს კი მეოცე საუკუნე ვერ გაამართლებს. მაგრამ ამას ერთი საბუთი მაინც აქვს: მეცნიერია, სამეცნიერო კითხვებზე უნდა წეროს. წერას უნარი და ცოდნა ეჭირვება; მას არც ერთი აქვს და არც მეორე: მაშასადამე რამე უნდა მოჩმახოს, მოიგონოს. შეიძლება, მკითხველო, თქვენთვის ასეთი საბუთი გამოუდეგარია?. ეს თქვენი საქმეა, თქვენვე გადაწყვიტეთ. ჩვენ ისევ ჩვენს გმირს ვალაპარაკებთ. ბევრ საგმირო საქმეს გვაცნობს ეს ახირებული ადამიანი. „ჩვენ ვურჩევთ წულუკიძეს ჩვენში არსებულ სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებში დასთვალოს, რამდენი ქართველი მსახურებს იქ: წაბრძანდეს აგრეთვე ტფილისის ქალაქის გამგეობაში და იქ გადაშინჯოს სია და ჯამაგირების რაოდენობა თვითმართველობაში მოსამსახურე პირებისა. მაშინ უფრო ნათლათ დაინახავს, არის სულ ერთი თუ არა უცხო და შინაური ბურჟუაზია“. ჩინებული რჩევაა: მადლი და პატივი ბ. გოგიჩაშვილს. ცოტა კიდევ რომ გარჯილიყო და ჯამაგირების სიები და მოსამსახურეთა რიცხვიც დაებეჭდა (მას ალბათ ეს ყველაფერი კარგათ ექნება შესწავლილი), საქმე გამიადვილდებოდა და საკამთო საგნებში ადვილათ და უცბათ გამოვერკვევოდი. ნეტავ აქ რათ არ მოყავს ბ. გოგიჩაშვილს მანიფესტის ის ადგილი, სადაც დიდი სოციალოგიური კითხვა ასე უბრალოთ გადაჭრილიყოს.

ჩემი მხრით, ერთი რჩევა ბ. გოგიჩაშვილს: სანამ მე ბანკებში, კანტორებში და საბჭოებში ვივლიდე სიების საჩხრეკათ, წაბრძანდეს ჩვენი მეცნიერი სომხებისა, ქართველების და უცხოელების ქარხანა-ზავოდებში და გადაათვალიეროს სამუშაო ქირის სიები. აძლევს თუ არა მანთაშევი სომხის მუშებს მეტ სამუშო ქირას, ვიდრე ქართველებს, ამუშავებს თუ არა ნაკლებს, უკეთეს გიგიენურ პირობებში აცხოვრებს ,,ბატ თუ ,,ბ? გაჩრიკითხოს და გაიგოს: ქარხნების ადმინისტრაციის დამოკიდებულება რით განისაზღვრება: ეროვნებით, თუ მატერიალური სარგებლობით?. ვის უფრო სიამთვნებით ღებულობდენ სამუშაოზე: შეგნებულს, თუ შეუგნებელს განურჩევლათ იმისა სომეხია მუშა, თუ ქართველი. „მაშინ უფრო ნათლათ დაინახავს არის სულ ერთი თუ არა უცხო და შინაური ბურჟაზია“.

როგორია პრაქტიკული მნიშვნელობა ამ კამათისაო?—კითხულობს ბ. გოგიჩაიშვილი ,, უპასუხებს: თუ ჩვენ ასე გრძლათ ვამტკიცებთ ეკონომიურ წარმატების საეროვნო მნიშვნელობას, ეს იმიტომ, რომ უარვყოთ წულუკიძის აზრი ვითომ ერში მარტო კლასობრივი განხეთქილება არსებობს.... „შრომელი ხალხის“ იდეოლოგმაც უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა იმ საკითხთა განკითხვაში, რომელთა ცხოვრებაში გადატანა და განხორციელება მთელი ერისათვის საჭირო და სასარგებლო არის“.

ჯერ ერთი: რათ დაჭირდა ბ. გოგიჩაიშვილს ეკონომიური წარმატების საეროვნო მნიშვნელობის მტკიცება? რომელი ხალხის რომელმა იდეოლოგმა ან სად უარყო ეს მნიშვნელობა? არასოდეს და არსად, რასაკვირველია. მეორე: როდის არ იღებდა ეს იდეოლოგი „აქტიურ მონაწილეობას იმ საკითხთა გარკვევაში, რომელთა ცხოვრებაში გადატანა და განხორციელება მთელი ერისთვის საჭირო და სასარგებლო არის“? ყოველთვის იღებდა აქტიურ მონაწილეობას და არა მარტო სიტყვით, კაბინეტში, არამედ საქმით, ცხოვრების შუაგულში. მაშ რა პრაქტიკული მნიშვნელობა ქონია ბ. გოგიჩაშვილის კამათს? არავითარი. რა დაამტკიცა ამითი მან? რომ მას უაზრო და უმნიშვნელო ფელეტონების წერა შესძლებია.

საერთოთ ასეთი დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანთ ამ პუბლიცისტის დასახასიათებლათ: 1) ყველასათვის ცხადი და გადაღეჭილ აზრებზე ლაპარაკის გაგრძელება. („სხვისი აზრების შეუგნებლათ და უკრიტიკოთ განმეორება არ ვარგაო“).

2) ბავშური ტრაბახი („უცხოეთში სალიტერატურო სახელს მოვიპოვებო.)

3) მოწინააღმდეგის აზრის გაუგებრობით დამახინჯება („უარეს ბორკილებს აბამს სხვებსო“).

4) მარქსენგელსის ავტორიტეტით თავისი ყალბი აზრის გამართლება (ციტატა მანიფესტიდან).

5) განზრახ დამახინჯება სხვისი აზრების (კაუტსკიდან ციტატა).

6) მოწინააღმდეგეს აწერს ისეთ აზრებს, რომელიც მას არ გამოუთქამს და ამ მოგონილ აზრებს ეკამათება (ზანგების მაგალითი).

7) საბჭოს მოსამსახურეების ჯამაგირების შემოწმებით სოციალური კითხვის გადაჭრა.

ასეთია ბ. გოგიჩაიშვილის საპოლემიკო ნიმუშები. როგორც ხედავთ, მკითხველო, ძალიან ცუდ ნიმუშებს იძლევა პუბლიცისტი. ჩვენ გვინდოდა მხოლოთ გაგვეფრთხილებია მკითხველი, ამიტომ იმედია მოგვიტევებს, თუ ცოტა ოდენი დრო დავაკარგვინე ამის უმნიშვნელო წერილების განმარტებით.

ბ. წულუკიძე.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

9 ივნვარს პეტერბურგში მომხდარ ამბების გამო ეი რას წერს გაზ. „ნაში დნი“.

„ძალუნებური ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ ჩვენ ხელახლა ვიწყებთ მუშობას, ვიწყებთ თუმცა გამოუთქმელი მძიმე გრძნობა გვაწევს გულზე. ვიწყებთ მუშობას,—რადგან ვგრძნობთ, რომ თავს გვაწევს სიზოგადოებრივი მოვალეობა; გვესმის, რომ პასუხის მგებელი ვართ წინაშე ჩვენი მკითხველებისა და ეი ეს გვაიძულებს ჩვეხი მუშობის გაგრძობას.

ის საშინელი ამბები, რომელიც მოხდა 9 ივნვარს და შემდეგ რიცხვებში, სიზარელ შთაბეჭდილებას ახდენენ, იმ სიხოატეკი, როგორც ოფიციალურ „ცრუ. ვესტ.“ის ფურც-

ლებზეა გამოყვანილი. არა ოფიციალური ცნობები კი, ჩვენი თანამშრომლების მიერ შეკრებილი და მრავალ დამსწრე პირთაგან ნაამბობი, კიდევ უფრო აძლიერებენ შთაბეჭდილებას. შემზარავი და დაუვიწყარია ეს შთაბეჭდილება და მუდამ საშინელი იქნება ის ფურცელი ისტორიისა, რომელზედაც იგი აღიბეჭდება. რუსეთის საზოგადოების ხსოვნასა და მომავალ შორეულ შთამომავლობას ყვედრების თვალით დაუწყებს ცქერას მისი გასისხლიანებული აჩრდილი.

ჯერ არასოდეს არ მორწყულა პეტერბურგის ქუჩები ამდენი ასი მშვიდობიანი მოქალაქის სისხლით, არასოდეს არ შეწირულა ამოდენა მსხვერპლი უიარაღო ხალხისა!

ოფიციალური ცნობების მიხედვით მოკლულია 96 კაცი და დაჭრილია 333. დაშავებულთა რაოდენობის მხრივ—ეს ხომ ნამდვილი ბრძოლაა.

მაგრამ პეტერბურგში მომხდარ ამბების თვისებას თუ დაუკვირდებით, დაინახავთ, რომ ბრძოლის ველზე შეტაკებასთან შედარებაც კი არ შეიძლება ამ ამბების.

9 იანვარს პეტერბურგის ქუჩებზე თავი შეიყარა მშვიდობიანმა და უიარაღო ხალხმა. მას უნდოდა პეტიცია წარედგინა ხელმწიფისათვის. ჩვენ გვეუბნებიან, რომ ეს ნება დაურთველიაო. მაგრამ, განა ამ დანაშაულისათვის ჩვენი კანონი სიკვდილით სჯის? ჩვენ გვეუბნებიან, ხალხმა არ ინდომა დაშლაო. მაგრამ, განა ერთი მოთხოვნის აუსრულებლობისათვის სიკვდილით დასჯა მოელის კაცს?

ვერაფერი ვერ შეამცირებს საშინელ ელფერს იმ სურათისას, რომლის წინაშე ადამიანს სული ეხუთება და გული უდონდება: დღისით, სატახტო ქალაქის მილიონ მცხოვრებლების თვალწინ, უსულოთ ეცემოდენ მიწაზე უიარაღო ადამიანები ხალხის უთვალავ ჯგუფში. და თუ რომ გვინდა ჩვენმა უსაზღვრო მწუხარებით მოკლებულმა გულმა და სასოწარკვეთილმა გონებამ თვალი შეასვენოს რაიმე ნათელ საგანზე, რომელმაც იქნებ ოდნავ მაინც შეგვიმსუბუქოს ლოდივით მძიმე გრძნობა,—ასეთ შეღავათს, ასეთ დასვენებას საზოგადოებრივი სინდისი მხოლოთ გატაცებულ, მეგობრულ შრომაში მოიპოვებს—ამ გაათკეცებული ენერგიით დაწყებულმა შრომამ უნდა ეცადოს, რომ არამც და არამც აღარ განმეორდეს მომავალში ის ამბები 9 იანვრისა, რომელთაც ბადალი არ აქვს ჩვენს ისტორიაში, თუ რომ 16 საუკუნის უკან აღარ დაიხევთ".

* * *

„Berlin. Tagebl."-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: მოსკოვში გაკრული იყო განცხადება გრადონაჩალნიკის სტამბაში დაბეჭდილი, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ რუსეთში მომხდარ უწესოებათა და გაფიცვების მიზეზი ინგლისელები და იაპონელები არიანო, რომ ამ მოძრაობას განაგებდა ინგლის-იაპონიის ლიგა, რომ ინგლისელებმა თვრამეტი მილიონი მანეთი მისცეს რუსეთის სოციალისტებს, რადიკალებს და ლიბერალებს გაფიცულ მუშებისთვის დასარიგებლადო. ამის შესახებ პეტერბურგის ინგლისელმა ელჩმა პროტესტი განაცხადა და გამოძიების დანიშვნა მოითხოვა. რუსეთის მთავრობამ დაარწმუნა ის, რომ ეცდება კვლავ ამის მსგავსი არაფერი განმეორდებაო („რუსსკია ვედ.").

* * *

ქალაქ კოსტრომიდან სწერენ გაზ. „ნაში დნის":

15 იანვარს დამთავრდა თავად-აზნაურთა კრება. ამ კრებაზე სხვათა შორის ხმოსანმა ვლადიმიროვმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ საჭიროა ხელმწიფე იმპერატორს თავად-აზნაურობამ ადრესი გაუგზავნოს. ამ ადრესში უნდა გამოითქვას თავად-აზნაურთა აზრი ყოველივე იმის შესახებ, რაც დღეს რუსეთში ხდება. უმეტესობამ მიიღო ხმოსნის წინადადება და მოიწონა ადრესიც, იქვე არჩეულ კომისიის მიერ შედგენილი. ამ ადრესის შინაარსი მოკლეთ შემდეგია:

დასაწყისში თავ. აზ—ბა მოახსენებს ხელმწიფე იმპერატორს, რომ მან ლოცვა-ვედრება შესწირა უფალს შესახებ ახლად შობილი მემკვიდრე ცესარევიჩის დღეგრძელობისა და ომის სასიხარულოთ გათავებისა რუსეთისათვის. შემდეგ თავად-აზნაურობა უქვეშევრდომილესს მადლობას სწირავს ხელმწიფე იმპერატორს 12 დეკემბრის ბრძანებისათვის და ამბობს:

„ეროვნებათა და სარწმუნოებათა განურჩევლობა, თვითმოქმედების მინიჭება ერობისადმი და ადმინისტრაციის ზეგავლენიდან განთავისუფლება, სახელმწიფო თანამდებობის ამსრულებელ პირთა პასუხის გება ყოველგვარ თვითნებითი მოქმედებისათვის, ბეჭდვითი სიტყვის კანონის წინაშე პასუხისმგებლობა,—ეს დიადი პირობებია ჩვენი ხალხის დასაკმაყოფილებლათ და სულიერ აღორძინებისათვის.

მაგრამ უკეთილმსახურესო ხელმწიფევ! ნება უბოძეთ კოსტრომის თავად-აზნაურობას, რომელმაც საუკუნებით დაგიმტკიცათ ერთგულება, უბოძეთ ნება, რომ სწორეთ აქვე, სადაც წინეთ რომანოვთა ოჯახის აკვანი ყოფილა, სულის სიღრმიდან ამონახეთქი მართალი სიტყვა მოგახსენოს. თქვენი უდიდებულესობის გვირგვინოსან წინაპართა არა ერთხელ გამოუხატავთ კანონებში ზემოთ მოყვანილი უფლებები და სიყვარულით შეგვებებიათ კიდეც ცხოვრების მიერ ახლათ წამოშობილ მოთხოვნილებათა. მაგრამ მათ—ხელმწიფეებს, განუწყვეტლივ ხელს უშლიდა და წინ—აღუდგებოდა ხოლმე ბიუროკრატია. ბიუროკრატიამ მიუვალი კედელი ამართა ხელმწიფეთა და იმ ხალხს შორის, რომელმაც ამ 290 წლის წინეთ თავისუფლათ აირჩია დიდებული წინაპარი თქვენი უდიდებულესობისა.

კანონში ახლაც ნათლათ არის გამოხატული, რომ მის წინაშე ყველანი თანასწორია, რომ სუყველა პასუხს აგებს მის დარღვევისათვის, რომ ყველა რუსეთის ქვეშევრდომები და მათი სარწმუნოება ერთ ნაირათ პატივცემულიან; მაგრამ, სწორეთ ის პირები, რომელთაც მინიჭებული აქვთ განსაკუთრებული ნდობა და რომელნიც კანონის დარაჯებათ უნდა ითვლებოდენ, თავისი საქციელით გვიმტკიცებენ, რომ კანონზე მაღლა დგანან".

დასასრულ ადრესში ის აზრია გამოთქმული, რომ მხოლოთ ხალხის მიერ თავისუფლათ არჩეულ წარმომადგენლებს შეუძლიათ ხალხის მღელვარების დაცხრობა და შინაური საქმეების მოწესრიგებაო.

* * *

18 იანვარს შინაგან საქმეთა მინისტრმა თავად სვიატოპოლკ მირსკიმ სამსახურს თავი დაანება. ამ გარემოების შესახებ რუსულ პრესაში სხვადასხვა აზრი გამოითქვა. სხვათა შორის, გაზეთი „ნაშა ჟიზნი" ეხება რა თავად სვიატოპოლკ მირსკის მოღვაწეობას, ამბობს, რომ, სამწუხაროთ, ყოფილმა მინისტრმა ვერ გამოიჩინა ხასიათის სიმტკიცე და ენერგია, რომ განეხორციელებია ის რეფორმები, რომელთაც ასე მოელოდა საზოგადოება. თავად სვიატოპოლკ-მირსკის ხასიათის სისუსტემ უფრო ჩინა თავი ბეჭდვითი სიტყვის საქმეში. გამოაცხადა რა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, თავადმა სვიატოპოლკ მირსკიმ ეს საქმე ძველებურათ ბეჭდვითი მთავარ გამგეობას დაუმორჩილა. ამნაირათ ბეჭდვითი სიტყვა რაღაც ორჭოფ მდგომარეობაში ჩავარდა. ერთ შემთხვევაში მას შეეძლო თავისუფლათ ელაპარაკა სხვადასხვა საჭირ-ბოროტო კითხვებზე, ხოლო მეორე შემთხვევაში თავისუფლათ ლაპარაკს უკრძალავდა ადმინისტრაცია. ყურადღება იმაზე კი არ იყო მიქცეული რას წერდენ, არამედ იმაზე ვინ წერდა. რაც ერთისთვის ნება დართული იყო, მეორესთვის—ნება დაურთველი. სვიატოპოლკ-მირსკის მინისტრობა და მისი მოქმედება საუკეთესო მაგალითია მისი, რომ ერთ კაცს, რა გინდ კარგი სურვილებით იყოს ის გამსჭვალული არაფერი არ შეუძლიან.

რედ.-გამომც. ი. პ. როსტომაშვილი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2-го февраля 1905 г.

ელექტრომბეჭდავი თავ. გრ. ნ. დიასამიძისა, სასახლის ქ.